



საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი

ბაზელის 1992 წლის იანვრიდან

№17 (63), მაისი-ივნისი 2017 წელი


ქორეოლოგია — ქორეოგრაფია — საზოგადოება **ფასი 2 ლარი**

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი
GEORGIAN UNION OF CHOREOGRAPHERS

ფოლკლორის
საერთაშორისო ფესტივალი

კავკასია CAUCASUS

International Folklore Festival




მისალმება

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი გულითადად მიესალმება საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალ „კავკასია – 2017“-ის მონაწილეებს. კავშირის გამგეობა და ადმინისტრაცია უდიდეს ემყობილებას

გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ მოხუცი და ახლო ქვეყნების საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ჯგუფები. მათ გვეხდით თავიანთი შემოქმედებით მიღწევებს ნახმოაჩენენ ადგილობრივი ანსამბლები.

დახმუნებულნი ვართ, ფესტივალის ქვემედი ძმობის, მეგობრობისა და უთიუთობის ატმოსფეროში ჩაივლის, იგი გაამდიდრებს მონაწილე ჯგუფების ხევესტუას, გააფართოვებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს და ახალ იმუნებს შესძენს მომავალ უთიუთობებს.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი



რედაქტორის გვირდი

(გაგრძელება)

ძვირფასო მკითხველო!
ჩვენი და თქვენი გაზეთის
წინა ნომერში სარედაქტორო
გვერდის ძირითადი პათოსის
გამოსახატავად, როგორც
გახსოვთ, დიდი გალაკტიონის
პარადოქსული სტრიქონ-
მიგნება გამოვიყენეთ.
იგი ასე ჟღერდა: „ყველა-
ფერი არის ძლიერ კარგად-
ყველაფერი ძლიერ ცუდად
არის...“

აღნიშნული სტრიქონის
მოხმობით იმის თქმა გვინ-
დოდა, რომ თანამედროვე
ქართულ ქორეოგრაფიულ
კულტურაში სწორედ მსგავსი
ვითარება სუფევს. კერძოდ,
რაოდენობრივი თვალსაზრი-
სით საერთო სიტუაციას თი-
თქოსდა წუნს ვერ დასდებ,
რადგან სასცენო-საკონცერ-
ტო სივრცეში ტრიალებს
ათასობით მოზარდი თუ
შედარებით უფროსი ასა-
კის უკვე პროფესიონალი.
ეს თავისთავად დიდებული
საქმეა, რადგან უამრავი ბ-
ვშვი გარიდებულია ქუჩის
მაგნი ზეგავლენას, ისინი
ინვრთენიან, სწავლობენ,
ეცნობიან ტრადიციულ ღი-
რებულბებს, უყარბდებთ
წარსულისადმი „გრძობა-
პატივი“, ეროვნული სიამაყე,
კულტურული ტოლერანტო-
ბა და სხვა მსგავსი მაღალი
ადამიანური თვისებები. ეს
ყველაფერი, ცხადია ძალიან
კარგია, მისასალმებელი და
საამაყო მაგრამ, ადამიან-
ებს, ქვეყანას, ეროვნული
კულტურის დიდ სივრცეს
ბევრად მეტი ესაჭიროება.
ეს უკანასკნელი კი თვისე-
ბრიობაში უნდა აისახოს, ანუ
ის, რაც რაოდენობრივად
კარგია, ხარისხითაც კარგი,
ზედმატებული თუ თვალ-
საჩინო უნდა იყოს. სათქმე-
ლად იოლია, მაგრამ იდეის
პრაქტიკული რეალიზება
ძალიან ბევრ სირთულეს-
თან არის დაკავშირებული.
რატომ? უპირველესად იმის
გამო, რომ რეალურ ყოფა-

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“

ში ბევრი და კარგი ერთად,
ერთდროულად ძნელად მო-
სახელბებელი და ძნელად
განსახორცილებელი მო-
ვლენათა რიგადანაა.
მოდით ზოგად ხაზებში
მაინც გავაანალიზოთ თუ
რა პროცესები მიდის დღეს
ქართულ ქორეოგრაფიაში
და ისიც მოვნიშნოთ, თუ რას
ესაჭიროება განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება სამომავლოდ
სავალ გზებზე.
ქართველ ქორეოლოგთა
წრეში (სამწუხაროდ იგი არც
თუ ძალიან დიდია), ასევე
პრაქტიკოს ქორეოგრაფთა
ბაგეთაგან ხშირად გაისმის
მოწოდება, რომ უკვე დროა
ქორეოკულტურული მიღწე-
ვების განვითარებაზე ვიფი-
ქროთ. აღნიშნული სფეროს
წარმომადგენლები ხშირად
საუბრობენ იმის თაობაზე,
რომ საქიროა ახალი იდეები,
ახლებური ხედვები, ცნობი-
ლი ქორეოგრაფიული დად-
გმების ტრადიციული სახის
განახლება, მისი გამდიდრე-
ბა, განვითარება და ა. შ.
ამავდროულად ჩვენ გვერ-
დით არის, სპეციალისტთა
კატეგორია, რომელიც მიიჩ-
ნევს, რომ ამგვარი მიდგომა
დამღუპველია ფოლკლორუ-
ლი ტრადიციებიდან ამოზრ-
დილი საცეკვაო სიმაღლე-
ბისათვის და რომ ამ გზით
ჩვენ ყველანი ზიანის მეტს
ვერაფერს მივიღებთ. ზო-
გჯერ ისეთი მოსაზრებებიც
გამოითქმის, რომ ფოლკ-
ლორული ტრადიციების
განვითარება, არსებითად
ცალკეულ შემსრულებელთა
ოსტატობის მაქსიმალურ
ზრდასთან შეიძლება იყოს
დაკავშირებული. ეს მი-
მართულება ფაქტობრივად
წვრთნა-დაოსტატების ხვე-
დრითი წილის გაძლიერებას
გულისხმობს, რაც ირიბად
იმის აღიარებდან მოდის,
რომ ათეული წლების წინ,
ბევრი საცეკვაო მოძრაო-
ბა საკმაოდ დაბალ ტემპში
სრულდებოდა თვით ყველა-
ზე სახელოვანი მოცეკვავე-
ბის მიერაც კი.
პრაქტიკაში გვხვდებიან
ისეთი სპეციალისტებიც,
რომლებიც მიიჩნევენ, რომ
სასცენო სივრცეში შე-
სასრულებლად გამოტანილი
საცეკვაო ნიმუშების გარე-
გნული იერ-სახის წარმოსა-
ჩენად აუცილებელია ცეკვის
კლასიკური ელემენტების
გამოყენება და ამ გზით

ფოლკლორული ვერსიების
გამდიდრება.
ერთი სიტყვით, საკითხი
პირდაპირ თუ არაპირდაპირ
დგას ტრადიციული ქორეო-
კულტურის განვითარების
პრობლემის სივრცობრივ
ველში და მას ყველა თავისე-
ბურად განმარტავს. თავის-
თავად აღნიშნულ მოვლენა-
ში გასაკვირველი არაფერია
და ვერც სპეციალისტთა
მოწადინებას დაგმობს ვინ-
მე, თუმცა პრობლემა სრუ-
ლიადაც არ გახლავს იოლად
დასაძლველი და მას ყველაზე
გულანთებული ქორეოგრა-
ფის სურვილ-განზრახვა არ
ეყოფა.
საქმე, როგორც იტყვიან
ისაა, რომ აღნიშნული პრო-
ბლემა უსათუოდ მიადგება
საზოგადოდ ხელოვნების
განვითარების უაღრესად
ძველ და ამავდროულად მა-
რად თანამედროვე საკითხს.
ჩვეულებრივ ადამიანურ
საუბარში იოლად ითქმევა,
რომ ხელოვნების ამათუიმ
დარგმა, სახემ, ჟანრმა გან-
ვითარების დიდი ეპოქები
გამოიარა, მიაღწია არსახულ
სიმაღლეს და ა. შ.
ერთის შეხედვით ეს ყვე-
ლაფერი სწორი და მისაღე-
ბია, მაგრამ თუ კარგად ჩა-
ვუკვირდებით აღმოვაჩინთ,
რომ აქ ცნება „განვითარე-
ბის“ შინაარსი არასწორადაა
გაგებული. ხელოვნებათმ-
ცოდნეებმა და ესთეტიკო-
სებმა კარგად იციან, რომ
აღნიშნულ სფეროში გან-
ვითარებაზე საუბარი მე-
ტის-მეტად პირობითი ან
საერთოდ მცდარია. რატომ?
იმიტომ, რომ ადამიანებს
ზოგჯერ ეჩვენებათ, რომ
ის რაც არ იყო წინა ეპო-
ქაში და მიმოქცევაში დღეს
მემოვიდა სწორედ წარსუ-
ლის განვითარებად უნდა
იქნას მიჩნეული. მაგრამ ეს
სინამდვილეში ასე არ არის.
ავილოთ თუნდაც ჩვენთვის
შედარებით ახლოს მყოფი
ანტიკური ხანის კულტურა.
ძველი ბერძნული თეატრი,
ქანდაკება, მწერლობა. ეს
ხომ მართლაც წარმოუდგე-
ნელი სიმაღლე იყო. გავიდა
დრო და ყველაფერი, რასაც
ბერძნებმა მიაღწიეს, რო-
მაელთა საკუთრება გახდა.
მათაც ბევრი რამ შექმნეს,
თუმცა ბერძენთა მიღწე-
ვების გამოკრების ხაზით.
აქ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ
რომაელებმა ბერძნული ხე-

ლოვნება განავითარეს. ამას,
მით უფრო ვერ ვიტყვით
რომის იმპერიის ნანგრევე-
ბზე ამოზრდილი ბიზანტიის
ან კიდევ სხვა დასავლური
სახელმწიფოებისა და კულ-
ტურების მისამართით. მათ,
არსებითად იმის გამოკრე-
ბის თავიც და მასთან ერ-
თად სურვილიც არ ჰქონ-
დათ ბერძნული სიმაღლეები
ავილოთ.
გავიდა საუკუნეები და
ევროპულმა (მანამდე აღმო-
სავლურმა რენესანსმა) დაი-
ვინყა საკუთარი ეპოქა და
დაიწყო ბერძნულ-რომაული
მემკვიდრეობის გამოკრება,
თანაც ახალ ქრისტიანულ
კონტექსტში. ეს იყო ახალი
ხელოვნება და არა ანტიკუ-
რის განვითარება.
აღნიშნული პროცესი გრ-
ძელდება დღემდე. ვერავინ
შეძლებს დაამტკიცოს, რომ
წინა თაობების მიერ საკუ-
თარ ეპოქაში ნათქვამი სი-
ტყვა, შექმნილი ხელოვნების
ნიშუში რაღაცნაირად ავი-
თარებდეს, ხვედეს იმას,
რაც მანამდე იყო. აქ ქრო-
ნოლოგიური წინსწრება თუ
უკან მიდევნება, სწორედ
რომ არაფერ შუაშია. განა
შეიძლება სერიოზულად
ვიმსჯელოთ იმის თაობაზე,
რომ ვთქვათ გურამიშვილმა
განავითარა რუსთაველი, ან
ნიკოლოზ ბარათაშვილმა
განავითარა გურამიშვილის
ესთეტიკური მსოფლხედვა,
მერე კი გალაკტიონმა წინ
წასწია ვაჟა, ილია, აკაკი და
ა. შ. ეს ხომ ტყუილი დროის
ხარჯვა იქნებოდა.
ახლა ქორეოგრაფიას
მოვუბრუნდეთ. ზემოთაც
მივანიშნეთ და აქაც უნდა
ვთქვათ-კანონზომიერებები,
რაც ხელოვნების სფეროში
მოქმედებს, ქორეოკულ-
ტურაზეც ვრცელდება. XX
ს-ის დადგომამდე ჩვენ, ფა-
ქტობრივად გვექონდა ჭეშ-
მარიტად ფოლკლორული
საცეკვაო კულტურა. დღეო-
ბები, დღესასწაულები, სა-
სოფლო გართობანი, სა-
ლონები და ყოველდღიური
ყოფა. აი, ეს იყო საცეკვაო
კულტურის სასიცოცხლო
სივრცე. გავიდა გარკვეული
დრო და ცხოვრებამ ნელ-
ნელა დააყენა ანსამბლის
ტიპის გაერთიანებების შე-
ქმნის იდეა. დაიწყო ცხო-
ვრების მაშინდელი წესით
მოტანილი ე. წ. საოლიმ-
პიადო დათვალეობები,

გამოჩნდნენ პროფესიონალი
ქორეოგრაფები, ფართოდ
გავრცელდა საბავშვო სა-
ცეკვაო ანსამბლები, აქა-იქ
ხელი მოჰკიდეს შესაბამისი
რეპერტუარის შექმნის საქ-
მეს და ა. შ.
ეს რაც შეეხება საქმის
ფორმალურ მხარეს. ახლა
ვნახოთ რა ხდება შინაარსო-
ბრივი თვალსაზრისით. ლო-
გიკური და გამართლებული
იყო მაშინდელ სპეციალისტ-
თა მიდგომა, რაც იმაში
გამოიხატა, რომ დაიწყო
ცალკეული ფოლკლორული
ცეკვების კლასიკურ ყაიდა-
ზე სასცენოდ საჩვენებლად
გარდაქმნის პროცესი. ჩვეუ-
ლებრივ ყოფაში, გართო-
ბა-დასვენების დროს ჯვარ-
ხატობებზე, რელიგიურ
დღესასწაულებზე და საერ-
თოდ მსგავს ღონისძიებებზე
გამოყენებულ საცეკვაო აქ-
ტივობებს არ აქვს მკაცრად
დადგენილი ქრონომეტრაჟი,
ტემპო-რიტმის აუცილებე-
ლი ელემენტები, საგანგებო
ტანთჩაცმულობა და ა. შ.
აქ ყველაფერი უმეტესწი-
ლად იმპროვიზაციის დონე-
ზეა გადაწყვეტილი, თუმც
იგა მობა ამათუიმ კუთხის
კოლორიტი, ცალკეული მო-
ძრაობებისათვის დამახასია-
თებელი თავისებურებები და
სხვა მსგავსი დეტალები. იმ
შემთხვევაში თუ ეს ყველა-
ფერი დარღვეულია, ე. წ.
„საცეკვაო ნომერი“ ჟიურისა
და მაყურებლის მიერ ფას-
დება უარყოფითად, ხოლო
ქორეოგრაფის თუ შემსრუ-
ლებელთა მიმართ გამოითქ-
მის კრიტიკული შენიშვნები.
ეს ყველაფერი რაც აქ
ითქვა არის ზოგადი კანონ-
ზომიერებები, რომელიც
საერთოდ სასცენოდ საჩვე-
ნებელ ხელოვნების ნიმუშებს
ახასიათებს და ამიტომაც
იგი ყველასა და ყველაფე-
რზე ვრცელდება. შეიძლება
ბევრი სხვა ნიუანსის მოხ-
მობაც, რომელიც თავისი
მნიშვნელობითა და წონით
შეიძლება მეტიც იყოს და
ნაკლებიც. ეს არაა მთავარი.
უფრო მნიშვნელოვანი ის
არის, რომ დროის მსვლე-
ლობის კვალობაზე, პერიო-
დულად ჩნდება სასცენო
სახილველში ფორმალური
ესთეტიკური ელემენტების
განახლების იდეა.
მაგალითად, მეორე მსო-
ფლოში მოტანილი

◀ 2 33 დიდი საზოგადოებრივი განცდების ფონზე ერთ ხანს გაჩნდა ცდუნება, რომ ცეკვა "ხორუმის" დადგმის დროს შემსრულებლებს ხელთ ცნობილი საბჭოთა ავტომატები სჭეროდათ. ზოგიერთმა ქორეოგრაფმა ამგვარი რამ პრაქტიკულადაც კი გააკეთა, თუმცა უდღეური და არასწორი აზროვნების გამოვლინება იყო. ამგვარი ნოვაციები გვხვდება დღესაც, თანაც საკმაოდ "წონიანი" ანსამბლების პრაქტიკაში, როდესაც ამათუიმ ცეკვის სასცენოდ შესრულების დროს ველარც კი გაიგებ რა ნომერი სრულდება, რა კავშირშია იგი ფოლკლორთან, ან კიდევ ეროვნულ საცეკვაო კულტურასთან და საიდან მოდის საცეკვაო მოძრაობების სპორტულ აკრობატიკამდე დაყვანის მცდელობები.

ამ მხრივ ერთ საინტერესო მომენტსაც უნდა გავსვას ხაზი. იყო დრო და ამაზე არაერთხელ თქმულა, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში ბევრი ჩვენი სახელოვანი ქორეოგრაფი თვებით იყო მივლინებული ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში და იქაურ სპეციალისტებს ქართული ცეკვის საიდუმლოებებს ასწავლიდა. ეს პროცესი გრძელდება დღესაც, თანაც ყველაფერ ამას ე. წ.

ინტერნეტის კარმოლებული სივრცეც დაემატა. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ბევრი რამ, რაც საკუთრივ ქართული იყო ნელ-ნელა სხვა სივრცის ნაწილად აქცია, თუმცა პროცესი ამით არ დამთავრებულა. რიგმა ქორეოგრაფებმა ქართულ სცენაზე უკვე სხვებისაგან წამოღებული ელემენტების გამოყენება დაიწყეს და უკვე ქართულ სცენაზე გამოჩნდა სრულიად გაუგებარი ცეკვა ე. წ. "კავკასიური", რომელიც სავსეა სპორტული აკრობატიკით, სცენაზე კოტრიალით, შინაარსს მოკლებული ტრიალ-დაცემებით და სხვა მსგავსი დეტალებით.

აღნიშნული ცეკვების შემსრულებელსა თუ დამდგმელ-ქორეოგრაფებს ჰგონიათ, რომ ისინი ამ ტიპის მიდგომებით ქართულ საცეკვაო ხელოვნებას "ავითარებენ", უფრო საინტერესოა და უკეთეს სახეს აძლევენ. სინამდვილეში კი რა ხდება? ხდება ის, რაც საზოგადოდ დაემართა კულტურას, როდესაც კლასიკური დასრულებული ლა-სრულყოფის ეტაპი ნელ-ნელა ჩაანაცვლა ე. წ. "პოსტმოდერნისტულმა" მიდგომებმა.

შეიძლება რიგითმა ქორეოგრაფმა იკითხოს - ეს რაღაა, რა პოსტმოდერნიზმზე მელაპარაკებით, ეგეთი რამ საერთოდ არ მიფიქრიაო.

საქმე ისაა, რომ თანამე-

დროვე პირობებში თვითონ კულტურა გახდა ზედაპირული, ქაოტური ესთეტიკური სიღრმეებს მოკლებული და ამდენად საკმაოდ "შემსუბუქებული". სადღეისოდ თითქმის ყველაფერი და მათ შორის კულტურის სფეროც საბაზრო კანონებით ვითარდება. იგი მიძიდება ან, პირიქით მსუბუქდება იმის მიხედვით თუ როგორია მისი გაყიდვის შესაძლებლობები. პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები თვლიან, რომ ყოველი ადამიანი ვისაც კი კულტურასთან შეხება აქვს "ხედავს", "იმეცნებს", "იგებს" ისე, როგორადაც მას საკუთარი ინტელექტუალური ემოციური სამყარო ამის საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე არსებობის უფლება აქვს ყოველგვარ აზრს, ყველანაირ ინტერპრეტაციას, მიგნებას, და ა. შ. თუ აღნიშნული მოსაზრებით ვისარგებლებთ და მას ქორეოგრაფის საქმიანობაზეც გავავრცელებთ, გამოვა, რომ არსებობის უფლება ისეთ საცეკვაო ნომრებსაც აქვს, რომლის შინაარსში ერთმანეთში არეულ-დარეული საქართველოს მთიანეთის, მერე ბარის, სხვადასხვა კუთხეების, ან კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებიდან შემოტანილი ელემენტები, მიდგომები, მუსიკალური თანხლებანი თუ ჩაცმულობის ატრიბუტიკა. სხვა საქმეა ყოველივე ამას

როგორ მიიღებს შემფასებელი აუდიტორია, ყიური, რიგითი მაყურებელი...

ერთიც უნდა ითქვას- დღევანდელ სამყაროში კულტურის მასობრიობას, უფრო ზუსტად მასკულტურის მოთხოვნებს თავს ადამიანი ძნელად თუ დააღწევს. შეიძლება ეს სასურველი არ იყოს, მაგრამ გამოსავალიც ძნელი საპოვნელია. რას უშვებით, მაგალითად თუნდაც ასეთ მოვლენას: ჯერ კიდევ XX ს-ის პირველ ათწლეულებში მთელს საქართველოში სულ 3-4 ქორეოგრაფი საქმიანობდა. მხოლოდ მათი მეშვეობით ხდებოდა საცეკვაო ფოლკლორის თავმოყრა, ანსამბლების ჩამოყალიბება და სასცენო სივრცეში გასვლა. დღეს კი ჩვენში ასობით (იქნებ ათასობით) ქორეოგრაფი საქმიანობს, ტრიალებს, ბევრ მათგანს 2-3 ანსამბლიც ჰყავს. არის გაუთავებელი მოგზაურობა, საკონცერტო თუ საფესტივალო გამოსვლები. ანსამბლის წევრთა უკან მათი ოჯახები და საახლობლო დგას. ერთი სიტყვით "მასობრიობაც" უზრუნველყოფილია. არის რაოდენობრიობა, მაშასადამე იქნება თვისებრიობაც.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბევრი და კარგი, როგორც წესი ერთად არასოდეს არსებობს. სწორედ ამის შედეგია ოსტატობის კატასტროფული კლება, რომე-

ლიც კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს დაეცყო. გამონაკლისი აქ ვერც ქორეოგრაფია იქნება. ამიტომაც სადაც სიღრმისეული შინაარსი ღარიბდება, იქ ტექნიკური დონე ძლიერდება. ესეც ნიშანდობლივი მოვლენაა. ზემოთნახსენები 3-4 ქორეოგრაფი შეიძლება როგორც ოსტატი იმ დონისა არ იყო, როგორც მერე და მერე წამოსულები, მაგრამ მათ დრო და მისი მოთხოვნები უჭერდა მხარს. დღეს კი მოთხოვნები მასობრიობაზე, ტექნიკურ სირთულეზე და ზედაპირულ ეფექტებზეა გადასული. შესაბამისად მივიღეთ დიდი რაოდენობის, ოლონდ შინაარსობრივად ღარიბი, თუმც ტექნიკურად რთული ქორეოგრაფია.

ასეთ მომენტში განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დგებიან ქორეოგრაფთა ის თაობები, რომლებიც მოზარდ თაობასთან მუშაობენ. მათ აუცილებლად უნდა დაანებონ თავი დიდი და სახელოვანი ანსამბლების მიბაძვას, მათი საქმიანობის თუ სარეპერტუარო პოლიტიკის გადაკოპირებას და უპირველესად მხატვრულ-ესთეტიკური აღმზრდელობითი ამოცანები წამოსწიონ წინა პლანზე.

ამის შესახებ უფრო დანვრისებით შემდგომ ვისაუბრებთ...

ოლეგ ალაჰიკა,
პროფესორი




საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი იუნესკოს ცეკვის საერთაშორისო საბჭოს CID-ის აღიარებული წევრი გახდა.

ამიერიდან ქორეოგრაფთა კავშირს უფლება აქვს გამოიყენოს ზემოხსენებული ორგანიზაციის სახელი, მონაწილეობა მიიღოს მისი ეგიდით განსახორციელებელ ღონისძიებებში, რეკომენდაცია გაუწიოს წევრობის მსურველ სხვა კანდიდატებს, გასცეს სათანადო სერტიფიკატი და ისარგებლოს CID-ის წევრთათვის დაწესებული პრივილეგია-შელავათებით (რეგისტრაციის ნომერია: 21814).

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციისა და კავშირისათვის გამოგზავნილ სპეციალურ მიმართვაში CID აღმასრულებელი დირექტორი Adamantia Angeli, იმედს გამოთქვამს, რომ ორგანიზაციებს შორის არსებული ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდება და შინაარსობრივადც გამდიდრდება.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოხატავს მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტის, აჭარის დამსახურებული არტისტის, ქართული

ქორეოგრაფიის „ამაგდარის“ ორდენის მფლობელის ბატონ თემურ ფალავას გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი



საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი ღრმა მწუხარებით იწყება, რომ გარდაიცვალა მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მსახიობი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო ფესტივალებისა და ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი,

ახალციხის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვახტანგ კვესელაძე.

ბატონი ვახტანგი 45 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალციხის კულტურის სახლს. მან ოჯახთან ერთად ძალიან დიდი მუშაობა გასწია მესხური ფოლკლორის ჯერ კიდევ შეუსწავლელი პლასტებისა თუ ნამსხვრევების მოძიების, აღდგენისა და გადარჩენის მიმართულებით.

ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობა და წევრები უსამძიმრებენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ მადონა თევზაძეს, მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოხატავს პროფესიული გაერთიანების ღირსეული წევრის, დმანისის სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლ "მართევს" ხელმძღვანელის, "ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა" და "ამაგდარის" ორდენების მფლობელის, დამსახურებული პედაგოგ-ქორეოგრაფის გია ტატიშვილის გარდაცვალების გამო.

ბატონი გია ჩვენი დიდი საქმოს ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი და იდეებით აღსავსე პიროვნება იყო. იგი არასოდეს აკლდებოდა კავშირის მიერ ორგანიზებულ ფესტივალ-სალამოებს, კონკურსებსა და პრაქტიკულ

კონფერენციებს, გამოხატავდა საკუთარ პოზიციებს და მონაწილეობს სამომავლო გეგმებსაც აცნობდა. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ადმინისტრაცია, გამგეობა და რიგითი შემადგენლობა გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და იმედს გამოთქვამს, რომ ბატონი გია ტატიშვილის თანამოაზრეები, მისი მოწაფეები და აღზრდილები, კვლავაც ღირსეულად გააგრძელებენ შემოქმედებით საქმიანობას, რითაც ხელს შეუწყობენ მის მიერ საფუძვლად დაებული ტრადიციების შენახვა-გადარჩენის საქმეს.

ქორეოგრაფთა კავშირის ადმინისტრაცია

„მჩაშაშაშაში“ ლეონარდოს მოედანზე

(ჩანახატი)



უკვე მეთოთხმეტედ ეშვება ჩვენს წინ „ლა-სკალას“ მძიმე, ოქროთი მოვარაყებული ფარდა.

ფარდის უკან კიდევ დიდხანს ისმის მაცურებელთა ტაშისცემა და აღფრთოვანებული „ბრაეო“.



ყვავილებით გაივსო უზარმაზარი სცენა...

უზომოდ ბედნიერი თეატრიდან გამოვდივართ, შუბლზე ოფლი ჯერაც არ შეგვპრო-



ბია. თეატრიდან გამოშლილ მაცურებელთა დიდ ჯგუფს „ლა-სკალას“ წინ მოედანი გაუჭედავს და ჩვენს გამოჩენას უცდის.

გარეთ „მეორე კონცერტი“ გველოდება.

მილანელთა ალყაში უცებ ვექცევით. „გრაცია“, „გრაცია!“ „ბელლა ჯიორჯიანო!“ – გვიღიმიან, გვილოცავენ.

„ბრავისიმო!“ „ყოჩაღ, ბიჭებო!“ – გვესმის იტალიურ-ქართული შეძახილი. ეს კი ჩვენი ზურაბ სოტკილავაა, აქ, იტალიაში სასწავლებლად მოვლინებული. ზურაბი ალტაცებულია და მოცეკვავეებს სათითაოდ გულში იხუტებს...

დიდი გაჭირვებით ვაღწევთ თავს ტემპერამენტიან მილანელთა „ტყვეობას“ და იქვე, თეატრის წინ, ლეონარდო და ვინჩის მოედანზე მდებარე კაფერესტორნისაკენ მივეშურებით სავახშმოოდ.

უკვე გვიანია, მაგრამ კაფე ხალხით არის სავსე. აქ უმთავრესად „ლა-სკალას“ თეატრიდან გამოსულ მაცურებელს მოუყვრია თავი, ფინჯან ყავასთან და ჭიქა ღვინოსთან ერთმანეთს უზიარებენ სპექტაკლით მიღებულ შთაბეჭდილებებს. შესვლისთანავე გვიცნეს, თვალებით, ხელებით გვანიშნებენ, რომ ალტაცებულნი არიან ქართული ცეკვებით... ზოგან ტაშიც კი გაისმა.

მივდივართ რესტორნის კუთხეში მდგარ თავისუფალ მაგიდასთან და მარდი ოფიცინტიც უმალ ჩვენთან ჩნდება. ზურაბ სოტკილავა თავისი იტალიურით გვეხმარება მენიუს არჩევაში. ვუკვეთთ მსუბუქ ვახშამს და, რა თქმა უნდა, „სპაგეტს მილანურად.“

რომელ სასმელს მიირთმევთ? – გვეკითხება ოფიცინტი.

ემპაქურად ვუყურებთ ერთმანეთს თვალებში. „დღეს ქართული ქორეოგრაფია „ლა-სკალაში“ გამარჯვებას ზეიმობს და თითო ჭიქა იტალიური ღვინო არ გვანყენდა“, – გამოგვაქვს საერთო აზრი.

ორ წუთში სუფრა იშლება. ოფიცინტი სამლიტრიან, მუცელგაბერილ ბოთლს ხს-

ნის და ჭიქებს გვიცხებს.

– რომელიღაც იტალიელ მაცურებელს რომ არ დავეჭირო, ალბათ, მესამე იარუსის ლოჯიდან პირდაპირ პარტერში აღმოვჩნდებოდი, – სიცილით გვიყვება ზურაბი, ჭიქას მალა სწევს და ბედნიერი სახით, კიდევ უფრო ბედნიერებს გვილოცავს მსოფლიოს პირველ სცენაზე ჭეშმარიტად ტრიუმფალურ გამარჯვებას.

– შენც მალე გვენახე „ლა-სკალას“ სცენაზე გამარჯვებული, ზურაბ!

ჭიქები იცლება. სისხლისფერი „კიანტი“ ძალაში შედის.

მეზობელი სუფრიდან მილანელები გვადღეგრძელებენ. ჩვენ მათ თავაზიან მადლობას ვუხდით.



– აბა ბიჭებო, ერთი ჩვენი სიმღერაც ვთქვათ...

შოთა ხოფერია დაბალ ხმაზე იწყებს „ცეღურ“ მრავალყამიერს. პირველს – ზურაბი, ბანს კი ომარ მხეიძე, ანზორ ნიკოლაიშვილი, თამაზ კიკალიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი ვეუზუნებთ. სიმღერა, ჩვენთან ერთად, თანდათან ეშხში შედის. მუსიკალური იტალიელები სმენას ამახვილებენ და მალულად ჩვენი მაგიდასაკენ იხედებიან. კაფეში სრული სიჩუმე ისადგურებს და უფრო მკვეთრად გაისმის დიდებული ქართული სიმღერა.



La Compagnia di Stato della Danza Nazionale di Georgia...

მრავალყამიერ იხარე, ჩვენო სამშობლოვ! შორეული მილანიდან გლოცავენ შენი ერის სრულუფლებიანი წარმომადგენლები!

მოულოდნელად, თეთრწინსაფრიანი, შუახნის ტანმორჩილი მამაკაცი მოდის ჩვენთან. ვგონებ, კაფეს მეპატრონე უნდა იყოს.

ო, სინიორე, მაპატიეთ, მაგრამ კაფეს თავზე სასტუმროა. ახლა თითქმის შუალამეა და, გთხოვთ, ნუ იმღერებთ.

ჩვენ მას ბოდიშს ვუხდით და ვჩუმდებით.

მაგიდასთან კიდევ ერთი იტალიელი, მალალი და სიმპათიური მამაკაცი მოდის მეზობელი სუფრიდან.

– ბატონებო!.. სიმართლე გითხრათ, თქვენ ისევე ბრწყინვალედ მღერით, როგორც ცეკვავთ, – გაკვირვებული მოგვმართავს, გვადღეგრძელებს და თავაზიანად გვთხოვს, კიდევ ვიმღეროთ რაიმე ქართული.

კაფეს მეპატრონე უკმაყოფილოდ იჩეჩავს მხრებს და სადღაც მიდის.

რა ვიმღეროთ, ბიჭებო? – ვეკითხებით ერთმანეთს და უთვალავი ქართული სიმღერიდან ერთიც ვერ აგვირჩევია.

ზურაბ, წამოიწყე რამე, – ვთხოვთ ზურაბ სოტკილავას და ისიც, მცირე პაუზის

შემდეგ, იწყებს „სისატურას“. მთელი კაფე ირინდება. დარბაზს ეფინება ტკბილი, გულში ჩამწვდომი მელოდია...

ესეც „მესამე კონცერტი“! კაფეს პატრონი ჩვენთან ბრუნდება. ხელში ორი მოგრობოთლი უჭირავს, მაგიდასთან ჩერდება და მოჯადოებული გვისმენს. მერე ბოთლებს მაგიდაზე დგამს და ღიმილით მოგვმართავს:



– სინიორე!.. ეს ჩემი საკუთარი ხელით დაწერილი ლეონო, საოჯახო. გთხოვთ, სიამოვნებით მიირთვათ. თქვენ მართლაც შესანიშნავი ხალხი ხართ, მშვენივრადაც მღერით. ჩვენ გვიყვარს სიმღერები. იმღერეთ, გეთაყვა, რამდენიც გენებოთ. ვფიქრობ, ასეთი მოლხენით არავის შეაწუხებთ.

ქართულ სიმღერას იტალიური ცვლის..

მთელი კაფე მღერის, ნამდვილი მეგობრობის საღამოა.

ყველაზე მეტად ახლა თვითონ რესტორნის პატრონი მხიარულობს. დიდი ხანია დაავინწყდა, რომ თავს ზემოთ სასტუმროა. გვემუდარება, მუდამ მისი სტუმრები ვიყოთ...

... გვიან ღამით ვემშვიდობებით კაფე-რესტორანს, რომელიც ლეონარდოს მოედანზეა, დიდებული „ლა-სკალას“

4 83

გვერდით.

ქ. მილანი. 1967 წელი.

50 წელი ქართული ცეკვის ისტორიული გამარჯვებიდან

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდოსტატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ 72 წლის წინათ შექმნილმა ლეგენდარულმა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა საყოველთაო დიდება მოუტანა ქართველ ხალხს და სრულიად საქართველოს.

ანსამბლის შთაბეჭდავ გამარჯვებებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სახელოვან მოცეკვავეთა თაობებს, იმ ვარსკვლავებს, რომლებიც თავისი ცხოველმყოფელი ხელოვნებით ბრწყინავდნენ მსოფლიოს უპირველესი თეატრების სცენებზე, არნახული მასშტაბით გამოამზეურეს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, მთელს მსოფლიოს გადაუშალეს ქართული ცეკვის გრანდიოზული სამყარო და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქართულ კულტურას.



ქართული მინის წიაღიდან აღმოცენებულმა, საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებულმა და დღემდე მოღწეულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ უდიდესი აღმა-

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 1967 წლის იტალიური გასტროლები ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ხმელთაშუა ზღვის ულამაზესი ქალაქით-ნეაპოლით იწყება. ჯერ კიდევ რომში ჩასვლისას გაგიჭირდებათ გამოსვლა, რადგან იქ, ლეგენდარული მომღერლის-ენრიკო კარუზოს მშობლიურ ქალაქში ხალხი ერთობ განებივრებულია ყველა რანგის გამორჩენილ მსახიობთა ხელოვნებით.



ვლობა განიცადა. ქართულმა ცეკვამ ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და თავისი უნიკალურობით, მრავალფეროვნებითა და თავისთავადობით მილიონობით მაყურებელი გააოცა.

ახლაც თვალწინ მიდგას მაყურებლებით გადაჭედილი ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ“ ოპერა და უზარმაზარი „მედისონ სქუერ გარდენი“, ფეხზე ამდგარი, ოვაციებში ჩაძირული ლონდონის შვიდი-ათასიანი „როიალ ალბერტ ჰოლი“ და ინგლისის სამეფო თეატრი „კოვენტ გარდენი“, ვენის, კოპენჰაგენის, ბრიუსელის, ამსტერდამის, გლაზგოსა და სიდნეის ბრწყინვალე სამეფო თეატრების აღფრთოვანებული მაყურებელი, ევროპის, ამერიკის, აზიისა და ავსტრალიის ასეულობით მოგუგუნე საკონცერტო დარბაზი და ხალხმრავალი სტადიონები...

ამ საოცარ შემოქმედებით გამარჯვებებში განსაკუთრებული ბრწყინვალეობით გამოირჩევა „სუხიშვილების“ დაუფინყარი გამოსვლა სახელგანთქმულ „ლა-სკალას“ სცენაზე.

ტრიუმფი „ლა-სკალაში“

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 1967 წლის იტალიური გასტროლები ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ხმელთაშუა ზღვის ულამაზესი ქალაქით-ნეაპოლით იწყება. ჯერ კიდევ რომში ჩასვლისას გაგიჭირდებათ გამოსვლა, რადგან იქ, ლეგენდარული მომღერლის-ენრიკო კარუზოს მშობლიურ ქალაქში ხალხი ერთობ განებივრებულია ყველა რანგის გამორჩენილ მსახიობთა ხელოვნებით.

ასეთი პროგნოზის მიუხე-

დავად, ჩვენ აუღელვებლად დავიწყეთ კონცერტი უძველეს და ტრადიციებით განთქმულ, მაყურებლებით სავსე, ულამაზეს „სან-კარლოს“ დარბაზში. უკვე პირველმა ნომერმა – საფერხული ცეკვა „ფარცამ“ განსაზღვრა ჩვენი მთლიანი ნარმატება, ხოლო კონცერტის დასასრულს „ვაჟკაცურმა“, მარჯვე ვაჟებმა და ლეთაებრივმა ქალიშვილებმა, როგორც ადგილობრივი პრესა წერდა, „მოხიბლა მგზნებარე ნეაპოლელები“.

დიდმა ნარმატებამ, რაც ქართველ მოცეკვავეებს ნეაპოლში ჰქონდათ, განაპირობა ასევე ბრწყინვალე მიღება ქალაქებში – გენუაში, ტრიესტში, ტურინსა და პრატომი.

სერიოზული გამოცდა გველოდა აგრეთვე ზღაპრული ვენეციის ცნობილ და პოპულარულ თეატრ „ლა-ფენიჩეში“.



„ფენიჩეს თეატრმა არც ნელს უღალატა თავის ტრადიციას და ახალი თეატრალური სეზონი გახსნა თელკლორული სანახაობით, რაც ყოველთვის მონონებით სარგებლობს მაყურებელში. ამჯერად ლაპარაკია ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლზე. იგი ერთ-ერთი ანსამბლთაგანია მსოფლიოში თავისი ცხოველმყოფელი ხე-



ლოვნებით, სილამაზითა და ფერთა პარმონიულობით. ეს არის მოხიბლავი სანახაობა, რომელსაც ტყვეობაში ჰყავს დარბაზი ორი საათის განმავლობაში და შეუდარებელ

შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე...“

გაზეთი „ელ-გადეტინო“ (ვენეცია)

ჩვენი ანსამბლის გამოსვლებს იტალიის ყველა ქალაქში უდიდესი ნარმატება მოსდევს, მაგრამ წინ ყველაზე მთავარი გამოცდა გველოდება – ორი კონცერტი უნდა გავმართოთ მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ციტადელში, მილანის „ლა-სკალაში“.

სამოცდახუთი ქართველი მოცეკვავე „ლა-სკალას“ სცენაზე უნდა გამოვიდეთ, რათა ჩავაბაროთ ურთულესი გამოცდა ამ მრავლისმომსწრე თეატრში, სადაც დადგმულა და იდგმება მსოფლიო ხელოვნების ტიტანების – ჯუზეპე ვერდის, ჯოაკინო როსინის, ვინჩენცო ბელინის, გაეტანო დონიცეტის, ჯაკომო პუჩინის, მოცარტის, ჩაიკოვსკის, ბიზესა და სხვა გამორჩენილ კომპოზიტორთა მუსიკალური შედეგები. ქართული ხალხური ცეკვები უნდა ვაჩვენოთ თეატრში, რომლის ზღაპრულ კედლებსაც ახსოვთ ლეგენდარული მომღერლები: აურელიანო პერტილე, ტიტო სკიპა, ამელიტა გალიკურჩი, ენრიკო კარუზო, ბენიამინო ჯილი, ჯუზეპე დი შტეფანო, ტიტა რუფო, თევდორე შალიაპინი, ტიტო გობი, დიმიტრი გიაუროვი, ფრანკო კორელი, მარიო დელ მონაკო, მარია კალასი, ლუჩინაო პავაროტი... ახსოვს გენიალური არტურო ტოსკანინი და სხვა ბრწყინვალე დირიჟორები... „ლა-სკალას“ ვერ შეედრება ვერც ერთი თეატრი, აქ ყოველი სუბექტაკლი ისტორიული მნიშვნელობისაა. და კიდევ: „ლა-სკალა“ ხომ ყველაზე გამორჩეულია თავისი მომთხროვნი მაყურებლით, ისინი შეცდომას არავის აპატიებენ...

„სჯობს სულაც არ სცადოთ გამოცდის ჩაბარება მსოფლიო სახელის მოსაპოვებლად, ვიდრე გამოიწვიოთ „ლა-სკალას“ დარბაზის მუდმივი სტუმრების უქმეყოფილება... ეს თქვენი სახელის დასასრულის დასანყისი იქნება!“

ახლაც კარგად მახსოვს ცნობილი იტალიელი თეატრალური კრიტიკოსის დიეგო ჯიმიანინის ეს მკაცრი სიტყვები, რომლითაც მან ქართველი მოცეკვავეები გაგვაფრთხილა „ლა-სკალაში“ გამოსვლის წინ.

... დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. ნერვიულობისაგან ადგილს ვერ პოულობს ჩვენი იტალიელი იმპრესარიო მარის პორჩილე. სკეპტიკურა-



დაა განწყობილი „ლა-სკალას“ გამოცდილი გენერალური დირექტორი ანტონიო გირინგელი. ბუნებრივია მისი მღელვარება – ჩვენი ჩავარდნა „ლა-სკალაში“ მის მაღალ რეპუტაციაზეც უარყოფითად იმოქმედებს.



ილიკო სუხიშვილი კი საკმაოდ დამაჯერებელი ტონით ამშვიდებს გირინგელს: – გარწმუნებთ, რომ „ლა-სკალას“ ფარდა კონცერტის ბოლოს ათჯერ აიხდება!

არ დამავინყდება, როგორ გასასვავა ხელები თეატრის მრავლისმნახველმა დირექტორმა ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელის ამ ხმაშაღალი განცხადების გაგონებაზე და ირონიული ლიმილით სასწრაფოდ გაგვიცოდა...

... და აი, დაჰკრა დოლმა, ჩვენი მოცეკვავე გოგონების პირველსავე გამოჩენამ, რომლებიც სცენაზე თეთრი გედებივით შემოცურდნენ, მაყურებლის პირველი ტაში გამოიწვია. ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. ხალისიან და დინამიურ „ფარცას“ მოჰყვა დარბაზისლური და განუმეორებელი „ქართული“. ლატავრა ფორჩინისა და ფრიდონ სულაპერიძის უზადო მოძრაობებს მაყურებელი ტაშით აჯილდოებს. შემდეგ დახვეწილი „ხორუმი“, ულამაზესი „აჭარული სუიტა“, ცეცხლოვანი „ხევსურული“ და

5 33

„ხანჯლური“ ვერძობთ, რომ „ლა-სკალას“ მაცურებელი უკვე „ჩვენია“. დარბაზი სულგანაბული შეწყურებს ღვთაებრივ „სამაიას“, ნინო რამიშვილის ბრწყინვალე „ჯეირანს“, ხოლო „მხედრულ-



სა“ და „შეჯიბრში“ ანსამბლის ვირტუოზი სოლისტების ომარ მხეიძის, თამაზ კიკალიშვილის, ჯუმბერ ბერაძის, შოთა ხოფერიას, შალვა (ჯამუ) გარუჩავას, გიორგი ჯიბლაძის, მილერ ცირეკიძისა და სხვათა თავბრუ-



დამხვევ ტრიუკებს საბოლოოდ ნონასნორობიდან გამოჰყავს „ლა-სკალას“ მრავალათასიანი მაცურებელი, რომელიც უკვე ფეხზე ამდგარი, მქუხარედ მიესალმება ქართველ მოცეკვავეებს...

ეს უკვე დიდი გამარჯვებაა! ... 14 ჯერ აინია იმ საღამოს „ლა-სკალას“ მძიმე, ოქროთი მოვარაყებული ფარდა. მაცურებელთა ოვაციებს ბოლო არ



უჩანს. შემდეგ აღფრთოვანებული მაცურებელი კულისებში იჭრება. მათ შორის არიან ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები, ხელოვნების მოღვაწეები. აღტაცებული ანტონიო გირინგელი, მარიო პორჩილე თვალცრემლიანი გვილოცავს ტრიუმფულ წარმატებას... არის გაუთავებელი მილოცვები, მადლობების სიტყვები, ყვავილები, სიხარულის ცრემლები, ავტოგრაფები, ავტოგრაფები... „ლა-სკალას“ სცენაზე ქართული ხელოვნების გამარჯვების ზეიმი გრძელდება...

ყველაზე აღტაცებული და უზომოდ გახარებული კი ჩვენი ზურაბ სოტილავაია, „ლა-სკალას“ სტაჟიორი, აქ სასწავლებლად მოვლინებული. იგი ულოცავს ნინოს, ილიკოს, გულში იხუტებს მოცეკვავეებს...

„მე თქვენს კონცერტებს ხშირად დავსწრებივარ თბილისში, მოსკოვშიც, მაგრამ აქ, მილანში სულ სხვა სიხარულია. არ ვიცი, როგორ გამოვხატო. მთელი კონცერტი ვტიროდი, ჩემი აქაური მეგობრები მანყნარებდნენ, შემდეგ მითხრეს, რომ ერთი ორჯერ, ლამის გადმოვვარდნილვარ იარუსიდან... მილანელები მეც მილოცავენ გამარჯვებას, დღეიდან უფრო ამაყად ვივლი ამ ქალაქში“, – ემოციებს ვერ მალავს ზურაბი...

„ლა-სკალაში“ ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფალურ გამოსვლებს უმაღლესი შეფასება მისცა ადგილობრივმა პრესამ:

„ლა-სკალას“ სცენაზე ქართველმა მოცეკვავეებმა მოიტანეს ქართული ფოლკლორის სუნთქვა. მათი ცეკვები სათავეს იღებს მდიდარი და უძველესი ქართული ისტორიის ფესვებიდან. „ლა-სკალაში“ ასეთი ტრიუმფით ჯერ არაფერს გამოსულა. ქართველებმა დაიპყრეს ჩვენი გული და გონება... მხურვალე ტაში, ოვაცია, აღფრთოვანება... უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ არა წარმატებაზე, არამედ ტრიუმფზე!“

გაზეთი „კორიერე დელა სერა“ მილანი, 1967 წ.

„... ქართველი მსახიობები უდიდესი რეალიზმით გვიჩვენებენ ძველი, მდიდარი ისტორიის მქონე თავიანთი ქვეყნის ცეკვების სულს. მათ ნამდვილად შემოქმედებით მწვერვალამდე აჰყავთ ტექნიკური ოსტატობა. ხშირად ადამიანის ენა უძლურია სიტყვებით გამოთქვას ის დიდი ქება, რომლის ღირსიც არის ბრწყინვალე



ანსამბლი.“

„... ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის რეპერტუარი ერთ მთლიან, ბრწყინვალე ხალხურ სანახაობას წარმოადგენს, რაც ხიბლავს და აჯადოებს მაცურებელს, ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებს მათ.“

„... შმაგი მხიარულება, ამაყი მოძრაობა, საოცარი ტექნიკა, ქალიშვილების სინატიფე და გრანდიოზულობა, სიმსუბუქე, მამაკაცების ვაჟკაციური გამბედაობა, მოძრაობის უნაკლოება, ერთსულოვნება – ვინ მოთვლის ყოველივეს, რაც ქართველებს ახასიათებთ... გაჭედილი თეატრის მაცურებლები აღვსილნი არიან ერთუზიანებით. ეს იყო ნამდვილი გონების შემძვრელი საღამო!“

გაზეთი „კორიერე

ტრიუმფი

ილიკოსა და ნინოს ლეგენდა, ცერზე შემდგარი სამყაროს უფლის, მანდილითა და ხმლით შეფიცულებს, თანა სდევთ მადლი და ლოცვა უფლის. სახელგანთქმულნი, როკვის ოსტატნი, ბევრგან შერაცხეს ცეკვის ვარსკვლავად, მაგრამ წინ რთული გამოცდა ელით, მათ ხომ მასპინძლობს დიდი „ლა-სკალა“. „ლა-სკალას“ ახსოვს კორიფების, სულისშემძვრელი ხმები ხალასი, კარუზო, ჯილი, მონაკო, ლანცა, ლეგენდარული ქალი-კალასი. აქ დღესაც ისმის, ახლაც ტრიალებს, გზნებით აღვსილი ფეთქვა გულების, ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოს, და სხვა ტიტანთა დიდი სულები. ეს ციტადელი – მუსიკის მექა, ზღაპრულ ტრიუმფებს როცა მოესწრო, ტოსკანიტა მათი ავტორი, გენიალური, მკაცრი მაესტრო. მშვენიერების იქ მოსაფენად, ქართული ჯიშის გიზგიზებს ცეცხლი, ქალ-ვაჟთა ლალი შენავარდება, არწივთ ირაო, გაფრენა მერცხლის. „ფარცა“, „ხორუმი“ და „ხეცურული“, „ძველი თბილისი“ და „მუხამბაზი“, თვალწინ ცოცხლდება ერის წარსული, მარად უკვდავი, ასე ლამაზი. ლატავრას ქროლვა კედმით მოსილი, როკვის გვირგვინი – ჩვენი „ქართული“, ფრიდონის გასმა სწორუბოვარი, გასაოცარი და შემართული. „სამაიას“ და „დავლურის“ მზერით,

ლომბარდო“ მილანი, 1967 წ.



ქართველი ხალხის სავიზიტო ბარათად იქცა მთელს დედამიწაზე და მყარად დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს კულტურის საგანძურში.



როს გაირინდა მთელი დარბაზი, მე გამახსენდა სვეტიცხოველი, ჩემი მცხეთა და ჩემი არმაზი. სცენაზე მოსჩქეფს უხადო ხიბლი, შნოს და ლაზათის მძლავრი ნაკადი, ვირტუოზული, თავბრუდამხვევი, ცეკვის ილეთთა უხვი კასკადი. დაჰქრიან ისე, ვით ჯადოქარნი, ისმის ყიყინი, ჟღირილი ხმალთა, რაინდთა შმაგი მხიარულება, და სინარნარე ღვთაებრივ ქალთა. ანსამბლი ქვეყნის დიდ ისტორიას, თვალისმომჭრელი ცეკვებით ქარგავს, გაოგნებული მაცურებელი, ნონასნორობას თანდათან კარგავს. და, ჰა, იწყება მროკავთ „შეჯიბრი“, ცერზე სრბოლაში, მუხლზე ტრიალში, მრავლისმნახველი „ლა-სკალას“ ჭერი, ლამის გაიპო ტაშის გრიალში. ფეხზე ამდგარი გრგვინავს დარბაზი, „ბისსა“ და „ბრავოს“ არ უჩანს ბოლო, ფარდა იხსნება ისევ და ისევ, ცეკვას ცვლის ცეკვა და სოლოს-სოლო. არასდროს თვალთ რომ არ ენახათ, მათ აქ იხილეს ეს სასწაული, ქართული გენის გამობრწყინება, ქართული სულის დღესასწაული... ილიკოსა და ნინოს ლეგენდა, ქვეყნიერებას ტრიუმფით უფლის, მანდილითა და ხმლით შეფიცულებს, თავს ადგათ მადლი და ლოცვა უფლის.

თინათინ უთაილია. 2012 წ.

ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) სპორტსმენთა საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია 2017“



İNEGÖL AHISKA (AKHALTSİKHE)YILDIZ DANS GRUBU 2013 Yılı 1 martta oluşmuştur.Dans grubun Eğitmeni 14 temmuz 1992 doğumlu Rusyada Eğitim almış olan Alihan Umarov.2013,ten bu yana her türlü etkinliklere ve uluslararası yurt içinde ve yurt dışında gerçekleşen festivallere ve yarışmalara Türk bayrağı altında katılmıştır. Yurt dışında Rusya Federasyonu,Gürcistan cumhuriyeti Özbekistan çumhuriyeti Ülkelerde festivallere katılmıştır. Yurt içiyse İnegöl,Bursa,Ankara,İstanbul,Mersin,Konya,Antalya,Samsun,Çanakkale illerindeetkinliklere be yarışmalara katılmıştır ve katılmaya devam etmektedir.

«Саирме»



Школа кавказского танца «Саирме» в мае 2017 года отметил свое 18-летие с даты образования. Художественный руководитель ансамбля - учитель высшей категории Гогсадзе Сосо Зауриевич! В школе занимается детский, образцовый, народный ансамбли, а также первый, второй, третий класс. «Саирме» не только дружеский,

профессиональный коллектив, но и большая многонациональная семья, которая объединила грузин, русских, дагестанцев, греков, осетин, армяней чеченцев, азербайджанцев, украинцев и представителей других национальностей. Ребята с интересом занимаются в коллективе, отдавая свое время творчеству и добились больших успехов в

городском, областном, Российском и Международном уровнях. Ансамбль «Саирме» в 2015 году по приглашению президента России с достоинством представил грузинское творчество в Кремлёвском Дворце.

На сегодняшний день в ансамбле занимается более 200 детей и количество с годами растёт. «Саирме» - это сложившийся коллектив, чьи концерт всегда красочны и интересны. Школа кавказского танца «Саирме» в мае 2017 года отметил свое 18-летие с даты образования. Художественный руководитель ансамбля - учитель высшей категории Гогсадзе Сосо Зауриевич! В школе занимается детский, образцовый, народный ансамбли, а также первый, второй, третий класс. «Саирме» не только дружеский, профессиональный коллектив, но и большая многонациональная семья, которая объединила грузин, русских, дагестанцев, греков, осетин, армяней, чеченцев, азербайджанцев, украинцев и представителей других национальностей.

Ребята с интересом занимаются в коллективе, отдавая свое



время творчеству и добились больших успехов в городском, областном, Российском и Международном уровнях. Ансамбль «Саирме» в 2015 году по приглашению президента России с достоинством представил грузинское творчество в Кремлёв-

ском Дворце. На сегодняшний день в школе кавказского танца занимается более 200 детей и количество с годами растёт. «Саирме» - это сложившийся коллектив, чьи концерт всегда красочны и интересны.



CHILDREN'S DANCE ENSEMBLE "TEIKSMINA"

Artist director- Inga Pulmane
Children's Dance Ensemble "Teiksmina" was founded in 1990 and has become one of the leading children's dance groups in Latvia. In dance ensemble "Teiksmina" currently are involved approximately 300 children in the age of 2 to 18 years. For more than 25 years of its existence the team created an extensive concert program, where next to the Latvian ethnographic dancing there are many original choreographies. The ensemble is full of creativity and putting serious work into awareness, preserving and promotion the values of Latvian folklore- both in Latvia and abroad. Winning the



hearts of audiences and having a great success in Italy, Germany, Hungary, Slovenia, Macedonia and more. "Teiksmina" regularly participate in Song and Dance Festival of the Latvian School

Song and Dance Festival, where in the final contest folk dance "Teiksmina" won prizes, and on review of 2017 in the group "Teiksmina" received excellent results and the highest rate among all Latvian dancing collectives.



АНСАМБЛЬ НАРОДНОГО ТАНЦА «JAMPADRACIS»



Латвийская Республика
Город Лимбажи
Художественный руководитель – Андис Ленманис

Ансамбль народного танца "Jampadracis" появился на свет в городе Лимбажи в 2003 году.

В репертуаре ансамбля разнообразные латышские танцы: этнографические пляски и сюжетные танцы-

зарисовки, золотой фонд аутентичных танцев, народные обрядовые сценки и оригинальные танцы современных хореографов.

Ансамбль народного «Jampadracis» является одним из ведущих коллективов в Латвии, постоянным участником грандиозных праздников песни и танца, проводимых в республике. Он много и успешно гастролирует с концертными программами в городах республики.

და სხვა. აფხაზური და ოსური ცეკვების ნაირფეროვნება და ორასამდე დასახელების ცეკვა თავისი შინაარსით, ხასიათით, ტრადიციული ნესებით, საცეკვაო ლექსიკით, მუსიკალური მასალით, მანერით, ტანთ-ჩაცმულობით, - თავისი ნიუანსებით ქმნის ადამიანის სულის საზრდოს. დავიცვათ ქართველი ხალხის შემოქმედების ნაყოფი ქართული ცეკვა, მოვეფეროთ მას, გვიყვარდეს იგი, გავუფრთხილდეთ მას ისევე, როგორც გენიალური შოთა რუსთაველის გენიალურ, მსოფლიო მნიშვნელობის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“, სადაც ყველაფერია ჩადებული ის, რაც ქართული საცეკვაო ხელოვნების ამოსავალი ნერტილია: რაინდობა, მეგობრობა, ქალისა და მამაკაცის უზადო, ფაქიზი დამოკიდებულება, თანასწორობა, სიყვარული, თავგანწირვა, თავდადება, ზომიერება!

„ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია.“ გავუფრთხილდეთ ჩვენს სიმდიდრეს, ნუ მივცემთ თავს დამშვიდების უფლებას, ყველას ვაღია ამ სიმდიდრის დაცვა, რამეთუ სხვა ერების ცეკვების შემოტანით არ

მოხდეს ამ უნიკალური საცეკვაო ხელოვნების წახდენა და მისი გაუფასურება.

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“.

ეს სათქმელი ჩემმა გულის-ტკივილმა მათქმევინა, იმან მათქმევინა, რასაც ვხედავ თუ როგორ მომრავლდა ქართულ ანსამბლებში ეგრეთწოდებული „კავკასიური“, „ლეზგინკა“ და სხვა. უგემოვნოდ, უხარისხოდ და ქართულ-მთიულური საცეკვაო ელემენტებით დახუნძლული ცეკვებით გაჯერებული კონცერტები. ამას წერტილი უნდა დაეცვას, ბოლო უნდა მოეღოს, რა გეჭირს ასეთი, არც ჩვენი ვიცოდეთ და არც სხვისი გვესმოდეს. დაფიქრდით კოლეგებო, ღირს კი ასეთი იაფფასიანი ნომრებით შეურაცხვეყო ქართული საცეკვაო ფენომენი!

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“

ი. ტორაძე

კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ქორეოგრაფი

ღირსეული ხელოვანი

ქართულ საბავშვო ქორეოგრაფიაში, უკანასკნელი 50-60 წლის მანძილზე, არაერთი ღირსეული ადამიანი, ქორეოგრაფ-პედაგოგი და აღმზრდელ-მასწავლებელი მოღვაწეობდა და დღესაც წარმატებით აგრძელებს მუშაობას. მათ მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ ქორეოგრაფიაში და აღზარდეს არაერთი მოცეკვავე თუ ქორეოგრაფ-პედაგოგი. ასეთ გამოჩენილ პიროვნებათა შორის ერთ-ერთ მონივრულ პოზიციაზე დგას ქართულ ქორეოკულტურაში კარგად ცნობილი, ფრიად პატივისცემი და ღირსეული ადამიანი ბონდო ცარციძე.

ბონდო ცარციძე დაიბადა 1936 წელს საჩხერეში. მშობლიური რაიონის

პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიულ სპეციალობაზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბატონი ბონდო მშობლიურ საჩხერეში აგრძელებს მოღვაწეობას. სწორედ მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა არაერთი ქორეოგრაფიული სტუდია და წრე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლსა და კულტურის ცენტრში.

ბონდო ცარციძე 7 წელი ხელმძღვანელობდა მერჯევის კულტურის სახლს. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ბატონი ბონდო მონაწილეობდა არაერთ რესპუბლიკურ თუ საკავშირო ფესტივალ - კონკურსში და

მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელიც გახდა.

თავდაუზოგავად, გამორჩეული ერთგულებით და სიყვარულით ემსახურება ბონდო ცარციძე მშობლიურ მხარეში ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეს. შედეგად კი მიიღო საზოგადოების, კოლეგების, მის მიერ აღზრდილი თაობების უდიდესი სიყვარული. სწორედ ამ სიყვარულისა და ღვაწლის აღიარება გახლდათ ბატონი ბონდოს დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელიც მიმდინარე წლის 6 მაისს, საჩხერის კულტურის ცენტრში გაიმართა და რომლის იდეის ავტორი იყო იუბილარის ნამონაფარი, „სუხნიშვილების“ სახელოვანი

ანსამბლის ყოფილი სოლისტი, ქორეოგრაფი სოსო დეკანოძე, ორგანიზატორი კი გახლდათ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახური ლევან ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

საიუბილეო კონცერტი გახსნა ბატონი ბონდოს ქალიშვილმა, მომღერალმა სოფიო ცარციძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საჩხერეში მოქმედი ფოლკლორული კოლექტივები.

იუბილარს მიესალმნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, რაიონის საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯეირან გოგინავა და გამ-

გეობის წარმომადგენლები. ბატონმა ჯეირანმა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის სახელით, იუბილარს გადასცა საქართველოს ქორეოგრაფიის „ამაგდარის“ ორდენი.

სალამოს უძღვებოდა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის წამყვანი სპეციალისტი, ქალბატონი ლია ვეშაპიძე.

საიუბილეო საღამომ თბილ და ამალღებულ ვითარებაში ჩაიარა.

გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ბატონ ბონდოს საიუბილეო 80 წელს, უსურვებს ჯანის სიმრთელეს და წარმატებებს პირად თუ შემოქმედებით - პედაგოგიურ მუშაობაში.



ბისათვის ორ პერსონაჟს შორის ბრძოლა მურყვამობასა და „ფადიკოს“ ერთნაირად ახასიათებს. ეს კი იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ „ფადიკოს“ შვილიერების მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთია“.

„შეხტომილი“ – ცალკე ცეკვა არ არის, „განდაგანას“ ილეთია და შეხტომით სრულდება. ესეც „განდაგანას“ მოძრაობათა სახელთა მსგავსია: „განდახტომილი“, „თახთახი“, „ტაყტახი“, „ჩაკმაჭილი“ – ჩახვეული. სხვადასხვა მოძრაობის განსახსნავებლად, შინაარსისა და ხასიათის მიხედვით, თვითონვე არქმევდნენ ცეკვის ელემენტებს სახელებს.

შენიშვნა: მუხამედ ართმელაძემ 2008 წელს დაასახელა და გვიჩვენა მალეული – საფერხული ცეკვების – ფრაგმენტები.

ძველებური „ლეკური“ – ქართულისა და მითიურის ელემენტებზე აგებული ცეკვა, იცეკვება იმპროვიზაციულად. ყოველი მოძრაობა ქართული საცეკვაო ლექსიკური ნარმოვლობისაა, ასევე მუსიკალური შინაარსი. ზოგიერთი მოძრაობა განდაგანას მოძრაობებთანაა შერწყმული.

„ფუნდრუკი“ – უძველესი ქართული ტერმინი, საბას მიხედვით, ცეკვის სინონიმი. აღნიშნავს ხალისიან, მხიარულ ქმედებას (სპორტულს თუ გასართობს).

სოფელ ზემოხევიში გადავიღეთ ხტომებზე აგებული ცეკვა. შემსრულებლები: ნოდარ ქარცივაძე, თამარიკო მყავანძი, თამარიკო ამბოზს, რომ ეს ძველი „განდაგანაა“. რეზო ფევაძე მას ფუნდრუკად მიიჩნევს, თემურაზ კომახიძისთვის „ფუნდრუკი“ და „შეხტომილი“ ერთი და იგივე ცეკვებია.

„სამშალახო“ – იგივე „კინტოური“, „ბაღდადური“, „შალახო“. ამ ცეკვათა საცეკვაო ლექსიკა და მუსიკალური შინაარსი იდენტურია.

სამ-სამა საბასთანაც, აჭარაშიც და ჩვენებურებთანაც ცეკვას ნიშნავს. ქართულ და ჯავახურ დიალექტებში „შალახო“ დღესაც სიმღერა, დაკვრა, თამაშია. ჯავახეთში ქალის სალანძღავ სიტყვადაც ქვეულა: „მაგ გიჟ შალახოს აყოლა რას გარგია“ (აღ. ლლონტი). იოსებ გრიშაშვილი ქალაქურ ლექსიკონში ასე განმარტავს: ერთგვარი ქალაქური (ყარაჩოხული) ცეკვა ზურნის ქვეშ, მუსიკალური ზომა 6/8.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, წყაროს მიუთითებლად, შალახოს განმარტება ასეთია: „იუმორისტული ხასიათის სომხური ხალხური ცეკვა. შალახო მამაკაცის ცეკვაა. სრულდება ხელსახოცის გაათამაშებით. მუსიკალური ზომა 2/4.“

„ჯახტანანა“ – უხუცეს მოცეკვავეთა აზრით, ჯახტანანას-ჯახტანანას ქალები ქუშნარობის დღესასწაულზე ცეკვავდნენ. ქალური ცეკვა იყო, განდაგანას მსგავსი, განდაგანას მიმდევარი, იგივე განდაგანა, ქალური ილე-

თებით, წელის ქალური მოძრაობები ახლავს. მამაკაცებიც ცეკვავენ ქალებთან, მაგრამ ქალები – უფრო მოკლე ნაბიჯებით. „ჯახტანანა“ კაცების შესრულებით – აჯავრებენ ქალებს ცეკვამი.

ჩვენი აზრით, „ჯახტანანა“ უძველესი ქართული ცეკვაა და შეუძლებელია ის ჯახტანანის უძველეს საცხოვრისს – ჯახტანანის ციხესა და მის მიდამოებს – არ უკავშირდებოდეს. ანგარიშგასწავლი აზრი მოგვანდა რეზო ფევაძემ: „ჯახტანანა თურქული სიტყვაა და სირცხვილს ნიშნავს. მამაკაცის სახელია. ჯახტანანა კარგი მოცეკვავე ყოფილა, დაუმოკლდა ცალი ფეხი ტრავმის გამო. ჩაჯდომილა მოძრაობებს ასრულებდა (ხანდახან ბრუნში), რომ არ შემჩნეოდა ფეხის სიმოკლე. აქედან დაერქვა ცეკვას ჯახტანანა, იგივე განდაგანა.“

ჩვენ მიერ ექსპედიციაში დაფიქსირებული „ჯახტანანას“ მასალების ანალიზი გვიჩვენებს „განდაგანასთან“ მისი საცეკვაო ლექსიკის იდენტურობას.

საინტერესოა აღ. ჯიჯიშვილის ცნობა „ჯახტანანას“ შესახებ: ცეკვა ჯახტანანა თავყრილობის ადგილებში (ნადი, შუამთობა, ქორნილი) სრულდებოდა. მოცეკვავები არა მარტო ცეკვამი, არამედ კაფობა-შაირობამიც ევრობებოდნენ ერთმანეთს. ცეკვას სიმღერასთან ერთად ემსხმებოდა ჭობონი. გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვისაც შაირ-კაფია არ გამოეღვინა. ეს ცეკვა მიღობინდა აჭარისთვისა და მასხასიათებელი და მისი უბადლო შემსრულებლებიც იქაურები იყვნენ: მერჯამ და ქერიმ ბოლქვაძეები, თოფუზ გაბაიძე და სხვ. შინაარსი გადმოგვცა აჭარული ფოლკლორის საუკეთესო მცოდნემ, ლვანლოსილა მოცეკვავემ თოფუზ გაბაიძემ: მისი თქმით, „ჯახ“ – შეჯახებას ნიშნავს და ერთმანეთს ცეკვა-შაირობაში ეჯახება ორი შემსრულებელი.

ასევე საინტერესოა პოეტ გემალ ჯახტანანის მოსაზრება (რომელიც სავსებით ემთხვევა ჩვენს ვარაუდს): უძველესი სახელწოდება უნდა იყოს „ჯახ და ნანა“, რაც უნდა ნიშნავდეს ტოპონიმ „ჯახთან“ დაკავშირებულ ცეკვას სიმღერის თანხლებით, თვით ტოპონიმი ჯახი კი უნდა მომდინარეობდეს საქართველოს უძველესი და უღამაზესი ხეობის სახელწოდებდან. ამ ხეობაში ცნობილი ტოპონიმებია: „ჯახდომანი“, „ჯახტანანა“, „ჯახტანანა ხეობა“. ამ ტოპონიმს უკავშირდება. სწორედ აქ უნდა განხილვიყო დღევანდელი მეტად პოპულარული ცეკვის „განდაგანას“ პირველი მთავარი და განმსაზღვრელი ილეთი, რომელმაც შემდგომ ცეკვას ფრიად ორიგინალური სახე ჩამოუყალიბა.

კოვზებით ცეკვა – პირველად მთელ აჭარაში ჭვანის ხეობის სოფელ ტაკიძეებში აღმოვაჩინეთ და გადავიღეთ კოვზებით ცეკვა. სიმღერა თარნანანას მელიდიანზე შესრულდა ერთმა ქალმა. ორივე ხელში ორ-ორი კოვზით იცეკვებოდა „განდაგანა“. ცეკვისას კოვზების ერთმანეთზე დარტყმებით გამოს-

ცა რიტმი. ჩვენი აზრით, მხოლოდ რიტმისათვის კოვზების გამოყენება რუსული გავლენით უნდა შემოსულიყო აჭარულ საცეკვაო ფოლკლორში, კერძოდ, „განდაგანაში“. მეკოვზების ცეკვა ძალიან პოპულარულია რუსულ საცეკვაო ფოლკლორში.

დასკვნა
ყოფაში ფოლკლორის გავრცობით და გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესის პირობებში გაჩნდა საფრთხე ხალხური შემოქმედების უმდიდრესი მემკვიდრეობის დაკარგვისა და განადგურებისა. შეიძლება აღარ გვეჩვენეს ქართული ფოლკლორის თავისი უანოობრივი მრავალფეროვნება და ისტორიული დინამიკით, გაჩნდა კითხვა: როგორ შევინარჩუნოთ იდენტურობა, განსაკუთრებით ხანგრძლივი ისტორიის მქონე პატარა ერებში, რათა არ აღვირიოთ და არ ავითქვიფოთ ერთბაშად მოვარდნილ სხვადასხვა კულტურაში, სხვა გარემოში, თანაც ისე, რომ ფეხი ავუნყოთ თანამედროვეობას და ვიყოთ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი.

ზემოთ აჭარული (შუახევის) საცეკვაო ფოლკლორის მასალების საფუძველზე განვიხილეთ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის, როგორც ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილის, შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობები და გზები. სინკრეტიზმის გათვალისწინებით ცვალებადი უმუხავის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოპოვებული მასალები – რა დარჩა, რა მოგვეპოვება, ძირეული და დანაშრეველები, ფსევდო და ნაღდი ფასეულობები. ახლა კი ცოტა რამ ცეკვის შესახებ:

ცეკვა ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მასში ასახულია ხალხის სოციალური და ესთეტიკური იდეალები, მისი ისტორია, პრობლემები, ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულებები, ხასიათი. ცეკვაში გამოხატება ტკივილი და სიხარული, პატივისცემა და გამბედაობა. ცეკვა – კომუნიკაციის ენა – ვითარდებოდა ადამიანთა ერთად. ხალხური ცეკვა, როგორც რიტუალების, ზნე-ჩვეულებების, ადამ-წესების, ტრადიციული დღესასწაულებისა და გართობის შემადგენელი, იყო და რჩება ამ მოვლენათა ორგანო ნაწილი. დროთა განმავლობაში ცეკვის ხელოვნება განვითარდა, სტილისა და ფორმების მრავალფეროვნება გამოიყო ცალკეულ სახეში: კლასიკური ცეკვა, ისტორიულ-საყოფაცხოვრებო, საესტრადო, სამეჯლისო, თანამედროვე, ამ მრავალფეროვნებათა შორის ხალხური ცეკვა იყო და რჩება ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად სახედ.

ხალხური – ფოლკლორული – ცეკვა თავის ბუნებრივ გარემოში სრულდება და აქვს იმ ადგილისათვის დამახასიათებელი გარკვეული ტრადიციული მოძრაობები, რიტმი, კოსტიუმი და ა. შ. დღეს პრინციპული პრობლემაა ქართული ხალხური ცეკვის ავთენტურობის შენარჩუნება. ეს არის შესრულების სტანდარ-

ტი, რომელშიც აუცილებელია, „ჩაჯდე“. ზემოთ ნაჩვენები და გაანალიზებული საექსპედიციო მასალების საფუძველზე შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ: საბედნიეროდ, აჭარულ ყოფაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ქართული (აჭარული) ხალხური ცეკვა სინკრეტიზმის პრინციპით – სიმღერა, ქმედება, სიტყვა, გამოყენებითი ხელოვნება (სამოსი, ალჭურვილობა, საკრავები, აქსესუარები. . .). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია აჭარული ცეკვის მუსიკალური შინაარსი ე. წ. მუსიკალური თანხლება. ძირითადად შენარჩუნებულია ტრადიციული მწყობრი – ჭობონი-დოლი; ჩონგური-დოლი; შედარებით გვიანდელი გარმონი (აკორდეონი)-დოლი. არატრადიციულია, მაგრამ საკმაოდ ფეხმოკიდებულია ხალხური ფანდური, საფანდურო სიმღერები და მელოდიები (ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია ფანდურზე შესრულებული კოვზებით ცეკვა); ჩონგური, ფანდური, სალამური – საბეჭდო სიმღერები ფოლკლორული ჯგუფის მიერ შესრულებული „განდაგანა“, ბალალაიკაზე დაკრული „ხორუმისა და „განდაგანას“ მელოდიები; კიდევ ერთი თვალში საცემი გავლენა: ლილეზიანი გარმონსა და აკორდეონზე შესრულებულ ცეკვებში იგრძნობა რუსული და უკრაინული ინტონაციები. მიზეზი: წლების განმავლობაში საბჭოთა მესაზღვრებთან სიახლოვე და კავშირი.

საკმაოდ საინტერესოა საკითხი ბოლო წლებში, ე. წ. რკინის ფარდის გახსნის შემდეგ, ურთიერთგავლენა, ურთიერთსახეობა – რა მივიღეთ, რა გადმოვიღეთ „ჩვენებურების“ კონსერვირებული ფოლკლორისაგან. მაგ. სატრეიალო სიმღერა „ჯილველო“ განდაგანას მუსიკალურ შინაარსად იქცა. თურქეთის ქართველებში საფერხული სიმღერაა და ფერხული სრულდება. ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები, ხელეები ნეკათითებითაა შეერთებული, როგორც მეგრულ ფერხულში „ოპო ჰოია“.

შუმანა ფუტკარაძის „ჩვენებურების“ ქართულის მიხედვით, ჯილველო უმშვენიერესს, მომავადოვებელს, კეკლუცს, კოპნას ნიშნავს (იმ.) ჯილველო, ნაწილადა კი ართვინის ვილაიეთის ცნობილი სიმღერაა: „ჰემ სიმღერა არის, ჰემ ცეკვა“ (მეცნიერულ მოყავს სიმღერის საკმაოდ ვრცელი ტექსტი).

კიდევ ერთი საინტერესო და თანაც სადავო რამ: „ყოლსამისა“ და „განდაგანას“ ურთიერთმომართება. ამ ცეკვას განდაგანა გასული საუკუნის 40-იან წლებში (1946) ეწოდა. ამჟამად შეუძეთში „განდაგანა“ ხელგაშლილას სახელითაა ცნობილი.

გამოსაკვლევი და დასადგენია: ქართული ცეკვის თურქულად მონათვლამდე რა ერქვა მას.

კიდევ ერთი პასუხასაცემი კითხვა: შეინიშნება თუ არა შუახეველთა საცეკვაო კულტურაში ისეთი შემამოფოთებელი მოვლენა, როგორცაა ხალხური ცეკვის გადაჭარბებული სტილიზაცია. როდესაც მისგან რჩება მხოლოდ

ზედაპირული, ეფექტური, ვირტუოზული ტექნიკური კომპოზიცია, მხოლოდ გარეგანი ნიშნებით აღჭურვილი ხალხური ცეკვა და უღამაზესი, ელემენტური და მშვენიერი იკარგება, მაგალითად, ხორუმმა ზოგადად ქართულ სინკრეტიზმს დაკარგა საბრძოლო შინაარსი და თეატრალურ სანახაობად – შოუს ნაწილად იქცა, მისი მოძრაობები კი დაულაგებელია, ცეკვა მხოლოდ ვიზუალურ მხარეზეა და გამოხატვის ეფექტს ემსახურება. დარღვეულია ცეკვის კომპოზიცია. ყოველივე ეს ტრადიციული გზიდან გადახვევისა და საკუთარ ფესვებთან გაუცხოების მაჩვენებელია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუახეველთა საცეკვაო ხელოვნება ჯერჯერობით ასეთი საფრთხისგან დაცულია.

კიდევ ერთი მაგალითი: ცეკვა „განდაგანას“ ზოგიერთი დადგმა ზედმეტი სტილიზაციის გამო მითიურ ცეკვას დამესგავსა: სწრაფი მოძრაობა, ხელოვნურად აჩქარებული ტემპი, ფოლკლორულ სანწყისებს მოწყვეტილი და ხელოვნურად გამოგონილი ელემენტები. ასეთ შემთხვევაში ცეკვა კარგავს ბუნებრიობას, ტექნიკურად კარგია, მაგრამ ცეკვას არ აქვს „სურნელი“. განდაგანას ზოგიერთი კოსტიუმი არ აკმაყოფილებს ქართული საცეკვაო ხელოვნების ესთეტიკურ მოთხოვნას. დაკარგული აქვთ ეროვნული სახე და ზედმეტად სახეცვლილია. ჩვენ ზემოთ საკმაოდ ტაქტიკადავ და თავაზიანად მიუთითეთ ამ ხრიკთა უნდა გაითვალისწინოთ შუახეველთა ქორეოგრაფებმა, მოცეკვავებებმა და აჭარული ცეკვის მესვეურებმა.

ექსპედიციისას, რა თქმა უნდა, ცეკვების უმეტესობა ყოფაში, საველე პირობებში ჩავინერეთ და გადავიღეთ – ყოველდღიურ სამსახურში, მაგრამ სცენაზე შესრულებისას სამოსი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუნდაც „განდაგანას“ და „ხორუმის“ ჩონხში ცეკვა, – ყოველდღიური და შეუსაბამოა. შორს-მიმავალი საუბრის თემაა, ზოგადად, დღეს არსებული აჭარული (მამაკაცის თუ ქალის) სამოსის ფართოდ გამოიყენება აჭარულ ცეკვებში. საკითხი ერთხელ და სამუდამოდ ძირეულ შესწავლას მოითხოვს, ძირების მოძიებას და ჯერ კიდევ ყოფაში შემორჩენილი ფრაგმენტების აღდგენას.

აჭარულ ცეკვაში რატომღაც ფეხმოკიდებულია მამაკაცის მიერ გავა-წელის რხევა – ყოლსამისეული მოძრაობები, რაც რადიკალურად მიუღებელია ქართველი კაცის ხასიათისა და ბუნებისათვის. აჭარული საცეკვაო ფოლკლორი ხომ ჩვენი ისტორიისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია.

შესასწავლი და დასადგენია აჭარულ ცეკვაში ხელის მდგომარეობა-მოძრაობის სიმბოლიკა (განსაკუთრებით ხორუმში). გადაუღებელ საქმედ მიგვაჩნია აჭარული ცეკვის ტერმინოლოგიის დამუშავება და ლექსიკონის შექმნა.

უჩა დვალიძვილი,
პროფესორი

საქვა და მისი მუსიკალური გაფორმება

დღევანდელი სასცენო ცეკვა წარმოდგენილია მუსიკალური თანხლების, მუსიკალური გაფორმების გარეშე. მუსიკა საცეკვაო მოძრაობას კარნახობს ტემპს, ხოლო თვითონ მოცეკვავს მატებს ძალას და ენერჯიას, უმაღლესს განწყობილებას.

ცეკვას თავისი წარმოშობის დღიდან მუდამ ახლდა მუსიკალური გაფორმება. უძველეს დროში ეს იყო მეძახილი, წამლერება-სიმღერა, რიტმული ტაძი, მერე სიმებიანი საკრავების (ფანდური, ჩონგური, ჭუნირი...) მიერ გამოცემული ჰანგები, დოლისა და გარმონის ჟღერადობა, სალამურისა თუ საზანდარ-დუდუკ-კლარნეტის ხმა და დღეს უკვე ელექტრონული მუსიკის სახეობად ხმაურის ატმოსფერო.

სიმღერა ყველა ჩვენთაგანისათვის ნაცნობი მოვლენაა. მას საფუძვლად უდევს ადამიანის ხმის ჟღერადობა. არსებობს ერთხმობის სოლო სიმღერები და არსებობს მრავალხმობისა და ფორმალური სასიმღერო კულტურა. ქართული სიმღერა უმეტესწილად სწორედ მრავალხმობისაა.

ტაძი, მეცნიერთა ვარაუდით, არაბული სიტყვა „დაში“-საგან უნდა მოდოდეს, რაც „ქვას“ ნიშნავს. ე. ი. ტაძი ქვაზე ქვის დაკვრით გამოიწვევს ხმაურს ენოდებოდა. თუ მეცნიერთა ვარაუდის მიერ გამოქვეყნებული ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თვით ტერმინი „ტაძი“ საქართველოში არაბების გამოჩენამდე ვერ დამკვიდრდებოდა. ე. ი. გამოდის, რომ ეს სიტყვა-ტერმინი ქართულ საცეკვაო და მუსიკალური ხელოვნების სფეროში VII ს-ის და II ნახევრის ბოლოდან უნდა იყოს შემოსული და დამკვიდრებული. რა იყო მანამდე, ჩვენ უბრალოდ არ ვიცით, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ ტაძის დაკვრის ცოდნა არაბების შემოსვლასთან არ იქნებოდა კავშირში. ტაძს ჩვენს წინაპრები, უთუოდ მანამდეც უკრავდნენ.

ახლა ორი სიტყვა ფანდურსა და ჩონგურზე ვთქვათ. უდიდესი ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ფანდური და ჩონგური ერთი საკრავის ორი სხვადასხვა სახელია. ჯერ იყო ფანდური და მერე მისი გაუმჯობესებული ვარიანტი-ჩონგური გამოჩნდა.

ფანდური სამსიმიანია. ჩონგურს კი მეოთხე სიმიც აქვს. ტერმინი „ფანდური“ დადასტურებულია X საუკუნის წერილობით წყაროებში „ჩონგური“ კი XVIII-დან შემოდის.

კარგი შემსრულებლის ხელში, როგორც ერთ, ისე მეორე ინსტრუმენტზე მშვენიერი მელოდიები შეიძლება შესრულდეს და ცეკვის საერთო სახეც, მისი ფორმა თუ შესრულების სტილიც მრავალფეროვანი გახდეს.

აქ, ალბათ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ, რომ ქართულ ზეპირმეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული გამოთქმა – „ტაშ-ფანდური“ გაიმართა, „ტაშ-ფანდური“ გააბესო და ა. შ. სადღეისოდ ზოგიერთი ამგვარ გამოთქვაში უარყოფით დამოკიდებულებას აქსოვს – აქაოდა არასერიოზულ საქმიანობას – „ტაშ-ფანდურს“ მისდევინ და დროს ტყუილად კარგავს.

სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ე. წ. „ტაშ-ფანდური“ ცეკვის

მუსიკალური გაფორმების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა და ამიტომ სათანადო ყურადღებასაც იმსახურებს.

ჭუნირი ლარინი და ხემიანი ინსტრუმენტია. ხემის გარეშე იგი მელოდიას არ გამოცემს. ჭუნირი ძველად მთელს საქართველოში ყოფილა გავრცელებული, თუმცა ყველაზე ფართოდ იგი სვანეთსა და მთის რაჭაში შემორჩა.

დოლი და გარმონი საცეკვაო თანხლებისათვის ყველაზე მეტად გამოსადეგი ინსტრუმენტებია. დოლი იძლევა რიტმს, ტაქტს და ქმნის საერთო განწყობილებას. ეს არის ცილინდრული ფორმის ხის თხელი ფირფიტისაგან შეკრული ინსტრუმენტი, რომელზედაც ორივე მხრიდან გადაკრულია საგანგებოდ გამოყვანილი ტყავის ფენა. ისინი ერთმანეთს რგოლებითა და თოკებით უკავშირდებიან. საკმარისია ამ თოკების მოჭიმვა და დოლიც მზადაა დანიშნულები-სამებრ გამოყვანილად.

დოლი მთელს აღმოსავლეთში ცნობილი ინსტრუმენტია, თუმცა განსაკუთრებული ფუნქცია მან კავკასიაში, კერძოდ კი ქართულ სცენაზე შეიძინა.

რაც შეეხება გარმონს, დღეისათვის მის მიერ გამოცემული ჰანგების გარეშე ქართული ცეკვა თითქმის წარმოდგენილია.

წარმოშობით გარმონი ქართულ რეალობაში შექმნილი ინსტრუმენტი არ არის. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით პირველი ე. წ. ხელის გარმონი 1822 წელს შეუქმნია გერმანელ ოსტატს-ბუმბანს. თვითონ სახელწოდება „გარმონი“ ბერძნული სიტყვიდან „ჰარმონიკოს“ მოდის და თარგმანში „ხმაშეწყობის“ ნიშნავს. ეს არის ლითონიანი ენაკების მქონე მუსიკალური საკრავი. ენაკები ბგერას გამოსცემენ რხევის პროცესში. მათ რხევას კი ინვევს განვლვა-შეკუმშვის დროს წარმოქმნილი ჰაერის ჭავლი.

დამკვრელის ოსტატობა იმაში ვლინდება თუ რა თანმიმდევრობით, რა სიხშირით განელავს, ან პირიქით შეკუმშავს იგი გარმონს და როგორ ხმას ამოაღებინებს მას.

გარმონი ბევრნაირია (ბაიანი, აკორდეონი...), თუმცა ქართულ საცეკვაო ხელოვნებას ყველაზე უკეთ მაინც მისი ერთი სახეობა შეეწყო. მას ხშირად „ქართულ“ გარმონს, ან კიდევ „თუშურ გარმონს“ უწოდებენ. სინამდვილეში იგი არაქართული წარმოშობის მუსიკალური ინსტრუმენტია, მას ჩვენს ყოფაში თავისი წინაპარი ყავს და ესაა „ბუზიკა“, ანუ „მცირე ზომის გარმონი“. იგი ქალისათვის განკუთვნილი საკრავია. „ბუზიკას“ უმეტესწილად დღესასწაულებზე, ქორწილებსა და მეჯლისებზე უკრავდნენ დაირასთან, დიპლიმატოსა და ფანდურთან ერთად.

რაკი სიტყვამ მოიგანა, ისიც ვთქვათ, რომ დაირა დასარტყმელი საკრავია. იგი ხის ვინორაკალია, რომელსაც ცალ მხარეს თხის ტყავი ან კიდევ თევზის ბუმბის აპკი აქვს გადაკრული. ზოგჯერ მას დაფსაც უწოდებენ. რაკალს ცალ მხარეს სპილენძის ან ვერცხლის ეფხვები, პატარა რგოლები ან მონეტები აქვს შემოჭრილი დამატებითი მუსიკალური ხმოვანებისა და სილამაზისათვის. დაირა ორივე ხელით უჭირავთ,

დაკვრით კი თითებითა და ხელის გულებით უკრავენ.

დასარტყმელ ინსტრუმენტთა შორისაა დიპლიმატი. ესაა თხის ორი ქილა (დიდი და პატარა), იგი გარედან მოხატულია, ზემოდან ტყავი არის გადაკრული და მასზე პატარა ჯოხებით უკრავენ.

ცეკვის მუსიკალური გაფორმებისათვის ზოგჯერ გამოიყენებოდა სალამური, ჩანგი, გუდასტირი და ა. შ.

ქართული ხალხური ცეკვა და ნაციონალური კოსტიუმი

თანამედროვე სასცენო ცეკვა, როგორც ფორმა და მინარსიც არ უნდა ჰქონდეს მას, წარმოდგენილია სპეციალური ტანთაცმულობის, სპეციალური შესამოსელის გარეშე.

საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობა გამოარჩევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფოლკლორულ ცეკვებს, გამოარჩევს დიდი ქალაქების ცხოვრებიდან აღებული ქორეოგრაფიული სურათების მონაწილეთა ჩაცმულობა, მთისა და ბარის შესამოსელი, თავადისა და კლეხის ტანსაცმელი...

სხვადასხვანაირად აცვიათ ფოლკლორული ცეკვისა და ბალეტის ოსტატებს, ასევე თანამედროვე მიმდინარეობების მოყვარულ სასცენო გამომსვლელებს. ისტორიულად ყოველგვარ შესამოსელს, ქალისა და კაცის ტანზე მორგებულ ნიმუშებს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახელი ერქვა. სამწუხაროდ ძნელად იმდენად ბევრი რამ შეინიშნა და დავიწყებას მისცა. მოგვიანებით ქართული ჩასაცმელის სახელწოდებები ფართოდ დამკვიდრდა ბიზანტიისა და ირანის, ასევე თურქულ-მონღოლური ყოფიდან შემოსული დეტალები, რამაც ახალი დასახელებების გაჩენა გამოიწვია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, შევვიძლია ძირითად ზანებში აღვადგინოთ თუ როგორ ეცვიათ ჩვენს წინაპრებს, რა სახელით მოიხსენიებოდა ესა თუ ის შესამოსელი და როგორი სახით მოვიდა იგი ჩვენამდე, უფრო ზუსტად კი ქართულ სცენამდე.

ძველ საქართველოში მამაკაცების ისტორიული შესამოსელი იყო ჩოხა. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით იგი IX ს-ში ჩნდება.

საგულისხმოა, რომ ძველად ჩოხას უწოდებდნენ როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ტანსაცმელს და ზოგჯერ საჩოხე შალის ქსოვილსაც.

ფორმის მიხედვით ჩოხა კაბების სახის სამოსელს წარმოადგენს. იგი ნელში მკვეთრად გამოყვანილი, ბოლო განიერი აქვს, მრავალკალთიანია და წინა მხარეს ჩახსნილია. არსებობდა სამამაცო (მამაკაცთა) და სადიაცო (ქალთა) ჩოხები.

თანამედროვე სასცენო ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული ჩოხის ვარიანტებიდან განსაკუთრებულად გამოიყოფა 3 ძირითადი ტიპი, რომელიც გავრცელებული იყო XIX და XX ს-ის მიჯნაზე. სწორედ ისინი დაედო საფუძვლად დღეს მოქმედი ანსამბლების ჩაცმულობის საერთო ხასიათს. მათ შორისაა:

ხევისჭირი ჩოხა (მოკლე, ლოკოლოების გარეშე, წინა მხრიდან მდიდრულად მორთული ორ-

ნამენტებით და ჯვრებით (ხატნი). ასეთი ჩოხა გვერდებზე შეჭრილი იყო და შენაჭერი წელამდე ამოდიოდა.

ქართულ-კახური ჩოხა. ეს იყო გრძელი, მუხლებს ჩამოცილებული სამოსი, მკერდის მიდამოში სოლის ფორმის ლიობი ჰქონდა, რის გამოც კარგად ჩანდა ახალუხი. ჩოხის კალთები რამდენიმეჯერ იყო შეჭრილი, სახელოები კი მაჯისაკენ ფართოვდებოდა. ასეთ სახელოებს ხშირად ზეაკეცილი ფორმით ატარებდნენ.

ზოგადკავკასიური ტიპის ჩოხა (რუსულად „ჩერქესკა“). ფორმით ის ქართულ რეალობაში დამკვიდრებულ ჩოხის ტიპს ჰგავდა, ოღონდაც მისი ზედატანი მჭიდროდ იყო ამოსხმული სხეულზე და შემოტმასნილი წელზე.

ჩოხას მკერდის ორსავე მხარეს ჰქონდა სამასრები. მასრების თავზე კი ხშირად ვერცხლის ძეწკვი იყო დამაგრებული. ასეთ ჩოხაზე ერტყათ ტყავის აბზინდიანი ქამარი, მდიდრულად შემკული ვერცხლის დეტალებით.

ჩოხა იკრებოდა ქართული, დაღესტნური და ოსური შალისაგან. ფერი სხვადასხვა ირჩეოდა. უმეტესწილად ეს იყო შავი, ნაბლისფერი, ლურჯი...

ზოგადკავკასიური ჩოხის შესაკერად, გარდა მინაური ქსოვილისა, გამოიყენებოდა თეთრი, რუხი, ლურჯი, ნითელი და ყავისფერი ქარხნულ-ფაბრიკული მათი.

ყოველდღიურ ყოფაში ჩვენს წინაპრებს ეცვიათ გრძელი ჩოხა-ახალუხი, თავის ფეხსაცმლით, ქუდით და ბოლოს ქამარ-ხანჯლით განწყობილი.

XX ს-ის 20-იანი წლებიდან ჩოხა ყოველდღიური ცხოვრებაში აღარ გამოიყენებოდა და იგი, ძირითადად, სასცენო სანახაობათა საკუთრება ხდება.

ძველ საქართველოში გარკვეული ტიპის ჩაცმულობა გააჩნდათ ქალებსაც. მათ ემოსათ გრძელი კაბა, სარტყლით და ჩიხტი-კოპით დამშვენებული. მომდევნო საუკუნეებში ამ ძირითად კომპლექტს მრავალი დეტალი დაემატა. ეს იყო გულისპირები, სამკლაურები, მოქარგულობა-მორთულობა და ა. შ.

თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში ქალის შესამოსელს ძირითადად „ტალავარი“ ერქვა. თავისი წამდელი სახით „ტალავარი“ ჩვენამდე თუშეთიდან და ხევსურეთიდან მოვიდა. ფშავსა და მთიულეთში, რომელიც უფრო ახლოს იყო სავაჭრო გზებთან, პრაქტიკამ XIX ს-შივე უცვალა სახე.

ქართული ტრადიციული ჩაცმულობა უმეტესწილად შინაეკსოვი შალის ქსოვილის ე. წ. „ტოლისაგან“ იკრებოდა. ამ ტიპის ქსოვილების დამზადებას ესაჭიროებოდა მეცხვარეობის განვითარება, ასევე შალის ძაფის შეღებვის, ტყავის დამუშავების, ფეხსაცმლის ამოსხმის ხელოვნების ცოდნა. ერთიც, მეორეცა და მესამეც ჩვენს ისტორიულ სამშობლოში კარგად იყო განვითარებული. გათვალისწინებულია, რომ ჩაცმულობის ის ვარიანტი(გრძელი ჩოხა, გრძელი კაბა...), რაც მისაღები იყო დიდგვაროვანთა შეკრებებზე, ლხინისა თუ ჭირის დროს მოუხერხებელი იყო ბრძოლასა და ცხენოსნური ჯირითის შემთხვევაში. ამიტომ, ასეთ დროს გამოიყენებოდა მოკ-

ლე, მაგრამ პრაქტიკული ჩოხის ვარიანტი, ან ჩოხის კალთების აკეცვის ტრადიცია, ასევე მსუბუქი ფეხსაცმლის ამოსხმის ოსტატობა და ა. შ. ყველაფერი, რაც აქ ჩვეულებრივი ცხოვრების დროს ქართველი ადამიანის ჩაცმულობაზე ითქვა, გათვალისწინებულია და გადმოტანილია თანამედროვე სასცენო ცეკვებში. ამასთან აქ ტანთშესამოსელს დამატებული აქვს სცენისათვის აუცილებელი დეტალები, მხატვრული ატრიბუტები და სამშვენისები.

ცეკვისათვის ტანთაცმულობის მორჩევის საქმეს დღეისათვის ქორეოგრაფთან ერთად მხატვარ-დიზაინერები და, საერთოდ, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის სპეციალისტები ემსახურებიან.

ამ მხრივ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ მხატვრებს სოლომონ (სოლოკო) ვირსალაძეს და მერაბ ბერძენიშვილს. პირველმა მათგანმა გასაოცარი სიღამიზის ფორმული შეუქმნა სუბიმიკულების სახელოვანი ანსამბლის მოცეკვავებს, მეორემ კი ანსამბლ „ერისიონს“.

დროს, როგორც ყოველგვარ საქმეში, აქაც შეაქვს ცვლილებები, მოცეკვავეთა ზოგიერთი ჯგუფი თუ ანსამბლი დღეს გვთავაზობს ახლებურ ჩაცმულობას, სადაც მხოლოდ ზოგადი შტრიხები თუ მიგვანიშნებენ ქართულ ტრადიციებზე. დანარჩენი ყველაფერი ახალია, თუმცა ჩასაცმელად მორგებული და მხერხებული.

ასეთი სიახლეების ის ვარიანტი, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა, თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სასცენო ცეკვა მართლაც წარმოდგენილია ისეთ დეტალების გარეშე, რომელიც აუცილებელია ჩოხა-ახალუხისა და „ტალავარის“ ჩამცმულობის ხალხისათვის. ეს არის: ყაბალახი, აზიური, წულა-მესტი, სვანური და თუშური ქუდები, ჩაქურა, ნაბადი, ფაფახი...

ყაბალახი თურქული წარმოშობის სიტყვაა და წონოლას ნიშნავს. იგი ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, მამაკაცისა და ქალის თავსაბურავის სახით. არსებობს გრძელი და მოკლე ტიპებიანი ყაბალახები, რომელთა შეკვრაც სხვადასხვა წესით ხდებოდა. ყაბალახი მზადდებოდა შალის, აბრეშუმის და სხვა მსგავსი ქსოვილისაგან.

ჩაქურა როგორც ჩასაცმელი, უმეტესწილად შარვლის ტიპი, გავრცელებული იყო გურიასა და აჭარაში. ეს იყო ფართობიანი და ხვანჯრით შეკრული შარვალი. მასთან ერთად იხმარებოდა კომპლექსური შემადგენლობის შესამოსელი – მოკლე ზედატანით, ორჯიბიანი, საყელიანი ახალუხი, ზუზუნის, განიერი აბრეშუმის სარტყლი...

თათები, პაჭოჭი, ქალამანი – ფეხსაცმლის, ფეხშესამოსელის ნაირსახეობაა.

სასცენო ცეკვების გამოჩენის შემდეგ მას ჩაენაცვლა, დღეს ფართოდ გავრცელებული „აზიური“, ანუ ჩქეშის ტიპის უძირი და რბილზედაპირიანი ფეხსაცმელი. იგი მუხლთან ახლოს ლეკვერთხით იკრება.

ნიგინდა – მ. ალავიძე
„საუბრები ქორეოგრაფიაზე“

ჩუბო ქანიშვილი 80 წლისაა

21 ივნისს ეროვნული ქორეოგრაფიის შუქმფენი მოღვაწე რეზო ქანიშვილი 80 წლის გახდება. მისი სახელი, ღვაწლი და დამსახურება კარგადაა ცნობილი ჩემს ქვეყანაში.

სამოც წელზე მეტია ეს გულანთებული ხელოვანი ქართული ცეკვის უზადო სამსახურში, სამაგალითო ხელოვნებით მადლიან სიკეთეს ჰმატებს უმშვენიერეს ქართულ ცეკვას.

ყველასაგან გამორჩეული სტილის, სადადგმო-შემოქმედებითი ხელნერის ხელოვანმა დაიმკვიდრა ორიგინალური გამონათქვამი "ქანიშვილისეული ქორეოგრაფია".

გარკვეულ წლებში რეზო ქანიშვილმა საგრძნობლად დაანინაურა აჭარის რაიონებ-

ის და ქალაქის ქორეოგრაფიული კოლექტივები. მათგან აღსანიშნავია ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის საცეკვაო ანსამბლი "აჭარა". იგი ყველასაგან გამორჩეული პრაქტიკოსია და ღრმად მცოდნე თეორეტიკოსი.

რეზო ქანიშვილის საქვეყნო ალიარების დასტურია ქვემოთ ჩამოთვლილი ნოდებები და დამსახურებები: დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, ბათუმის, ქუთაისის, ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ნორვეგიის ქალაქ ჰამერფესტის საპატიო მოქალაქე, ხელოვნებათმცოდნეობისა და მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი.



გურამ ხოზრევანიძე ნანული ნინიძე ნათელა ბერიძე

ამა წლის 11 ივნისს, "ქართული ქორეოგრაფიის დღეს, "ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გამორჩენილი საზოგადო მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის ემირიტუსის აკადემიური ნოდებით, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, "ხელოვნების ქურუმის", "ღირსების" მედლისა და "ღირსების" ორდენის მფლობელის, ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, ქობულ-

სახელოვანი ანსამბლის ლეგენდარული სოლისტები, საუკუნის მოცეკვავეები ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე და თენგიზ უთმელიძე.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობამ საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის სახელოვანი მოცეკვავე-ქორეოგრაფები



„გაზაფხულის რიტები“

ამა წლის 29-30 აპრილს, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით ჩატარდა უკვე ტრადიციადქცეული ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და

ბლებისა, საფესტივალო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 48 ქართულმა კოლექტივმა.

ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას სხვა საპატიო

რთველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით დავით ოქიტაშვილს გადაეცა „საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის ორდენი“, ხოლო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ნართების“ მუსიკოს-აკომპანიატორი თენგიზ გოგავა დაჯილდოვდა „საქართველოს დამსახურებული მუსიკოს-აკომპანიატორის“ საპატიო ნოდებით.

ფესტივალის ფარგლებში უცხოური კოლექტივებისათვის გაიმართა მასტერ-კლასები, საჩვენებელ რეპეტიციას უმასპინძლა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მეტეხმა“, მოეწყო ექსკურსიები მცხეთაში, ყაზბეგსა და თბილისის ისტორიულ უბნებში.

ფესტივალმა ნამდვილად ჩაიარა ქვეშარიტი ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროსა და მაღალ შემოქმედებით ვითარებაში, რაც ნამდვილად ახალი იმპულსს შესძენს მომავალ ურთიერთობებს.

ახალგაზრდული ფესტივალი „გაზაფხულის რიტები - 2017“, რომელშიც გარდა საქართველოში მოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივებისა მონაწილეობდნენ ანსამბლები ისრაელიდან, ლატვიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და ყაზბეგიდან.



ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ: ფოლკლორული ფესტივალების ევროპული ასოციაცია - EAFF, იუნესკოს ცეკვის საერთაშორისო საბჭო - CID და გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ რედაქცია.

ფესტივალის ფარგლებში ღონისძიებები გაიმართა ორ ეტაპად - პროფკავშირების კულტურის ცენტრსა და თბილისის „არტ-ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში.

გარდა უცხოური ანსამ-

სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი და საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი - მონაწილე ანსამბლებს გადაეცათ სპეციალური სერთიფიკატები და პრიზები მედლით. საქართველოს ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, საქა-

გაიმართა მასტერ-კლასები, საჩვენებელ რეპეტიციას უმასპინძლა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მეტეხმა“, მოეწყო ექსკურსიები მცხეთაში, ყაზბეგსა და თბილისის ისტორიულ უბნებში.

ფესტივალმა ნამდვილად ჩაიარა ქვეშარიტი ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროსა და მაღალ შემოქმედებით ვითარებაში, რაც ნამდვილად ახალი იმპულსს შესძენს მომავალ ურთიერთობებს.

ლეთის, ლანჩხუთის, ნორვეგიის ქალაქ ჰამერფესტის საპატიო მოქალაქის, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის და, რაც მთავარია, სახელოვანი ქორეოგრაფის, რეზო ქანიშვილის საიუბილეო 80 წელი.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივები, მათ შორის, რეზო ქანიშვილის სახელობის, უკვე გარკვეული დამსახურების მქონე ანსამბლები. . .

იუბილარს მიულოცეს და დამსრე საზოგადოებას მიესალმნენ „სუხიშვილების“



საქართველოს ქორეოგრაფია

ISSN 2346-8041



მის: თბილისი, ც. დადიანის ქ.№26

ტელ.: 599 90 75 65

საქართველოს ქორეოგრაფია;
www.qor.ge

სარედაქციო საბჭო:

რეზო ბალანჩივაძე
რეზო ქანიშვილი,
იური ტორაძე,
თენგიზ უთმელიძე,
ურნა დვალისვილი,
ზაურ ლაზიშვილი,
მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს სუთნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:
ოლეგ ალაპიძე
პასუხისმგებელი მდივანი:
მანანა შშიკიშვილი
თანადამფინანსებელი –
ქართული ქორეოგრაფიის
ეროვნული ცენტრი:
ზაზა მჭავანაძე